დანართი №2

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის -
ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელედის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ზაზა ჭანტურია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი.

წევრები;

ფარნაოზ იორდანიშვილი;	ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
რომან გაბუნია;	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
მინდია მაცაბერიძე;	საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ანჟელა აბულაძე;	უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ეკატერინე ხუციშვილი;	ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ნანა ჩავლეიშვილი;	ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
თამარ კვინიტაძე;	სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
მარინე ახალაია;	მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
ალექსანდრე ჩახნაშვილი;	სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ხათუნა ბენდელიანი;	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ზ. ჭანტურია

ნაწილი I.

შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელედის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	234067960

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ლენტეხის მუნიციპალიტეტი, სოფელი ხელედი
იურიდიული მისამართი	ლენტეხის მუნიციპალიტეტი, სოფელი ხელედი
ფაქტობრივი მისამართი	ლენტეხის მუნიციპალიტეტი, სოფელი ხელედი
საფოსტო ინდექსი	2900
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi-admin.emis.ge/dashboard
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Kheledi@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	595509029

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის გრძანების ნომერი და თარიღი)	MES 7 23 0001223261, 22/09/2023
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2023 წლის 12 და 13 ოქტომბერი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ? ფანცულაია

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	**ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა**	დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელი ხელედი
2	**ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა**	საბაზო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელი ხელედი
3	**ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა**	საშუალო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელი ხელედი

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 22 სექტემბრის MES 7 23 0001223261 ბრძანების საფუძველზე, ,,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლით განსაზღვრული ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: [signature]

მიზნით 2023 წლის 12 და 13 ოქტომბერს განვახორციელეთ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელედის საჯარო სკოლაში (მისამართი; ლენტეხის მუნიციპალიტეტი, სოფელი ხელედი).
ვიზიტის ეფექტიანი წარმართვისთვის მიზნით ექსპერტთა ჯგუფმა დაგეგმა წინასწარ დაგეგმა დისტანციური შეხვედრა და ერთობლივად შეიმუშავა დღის წესრიგი, განიხილა წარმოდგენილი დოკუმენტაციადა შეიმუშავა შესამოწმებელ დოკუმენტთა დამატებითი ნუსხა, რომელიც დაწესებულებას გადაეგზავნა ვიზიტამდე. ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრა შემდეგი შემადგენლობით: ზოგადი განათლების ხარისხის ორი ექსპერტით, რომელთაგან ერთი თავმჯდომარეობდა ჯგუფს და საგნობრივი ჯგუფის ექსპერტებით.

დაწესებულებაში ვიზიტის პირველსავე დღეს სკოლის ადმინისტრაციამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ჯგუფი (ბრძანება N 76. 12 ოქტომბერი, 2023 წ.), რომელთანაც ექსპერტებს გვქონდა კომუნიკაცია და სამიქმიანი ურთიერთობა. აღნიშნული ჯგუფის წევრები იყვნენ პასუხისმგებელნი ვიზიტის პროცესში წარმოსადგენი დოკუმენტაციის თაობაზე. ვიზიტის პროცესში ექსპერტები გაესაუბრნენ სკოლის წარმომადგენელებს - სკოლის დირექტორს, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირებს, საქმისმწარმოებელს და სხვა პირებს. დისტანციური შეხვედრა - ინტერვიუ შედგა სკოლის მასწავლებლებთან. ვიზიტი განხორციელდა პირისპირ ფორმატში, ხოლო საგნობრივ ექსპერტებს (გარდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფისა) დისტანციურ რეჟიმში ჰქონდათ შესაძლებლობა ჩაეტარებინათ ინტერვიუები მასწავლებლებთან.

საავტორიზაციო ვიზიტი სკოლაში განხორციელდა მშვიდ, საქმიან გარემოში. დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობის განხორციელებას და უზრუნველყო კონკრეტული დოკუმენტების ადგილზე წარმოდგენა, თუმცა არასრულად, რადგან სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული გარკვეული დოკუმენტები. ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა კორპუსი ისევ შეხვდა სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს და გააცნო წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად დანახული კონკრეტული მიგნებები და რეკომენდაციები.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ? ფანცულია

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	☒	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: [illegible]

მოსწავლეთა რაოდენობა: 80	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: [illegible]

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: [illegible]

კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა **სრულად შეესაბამება**

ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა **სრულად შეესაბამება**

ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა **სრულად შეესაბამება**

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
1.1.1.1.	სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;	**დაწესებულებამ შეიმუშავოს ხედვა** წარმოდგენილი უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში.15. 11. 2023 – 29.12. 2023

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

1.1.1.2.	სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;	**დაწესებულებამ შეიმუშავოს ხედვა** წარმოდგენილი უზრუნველყოფის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში. 15. 11. 2023 – 29.12.2023
1.1.1.3.	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;	**სასკოლო საზოგადოების ჩართულობით დაწესებულებამ შეიმუშავოს ხედვა და ღირებულებები.** უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. 15. 11. 2023 – 29.12.2023
1.1.1.4	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;	**სასკოლო საზოგადოების ჩართულობით დაწესებულებამ შეიმუშავოს ხედვა და ღირებულებები.** უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. 15. 11. 2023 – 29.12.2023
1.1.1.5.	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;	**დაწესებულებამ უზრუნველყოს ხედვისა და ღირებულებების შემუშავება, რომელიც საჯაროდ იქნება ხელმისაწვდომი სასკოლო საზოგადოებისათვის.** წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. 15. 11. 2023 – 29.12.2023
1.2.1.4	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური	**დაწესებულებამ სამოქმედო გეგმაში განსაზღვროს სტრატეგიული მიზნები და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 4 გამცუნია

	ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.	**ინდიკატორები, რეალისტური ვადები. განსაზღვროს აქტივობების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები.** **დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება.** 15. 11. 2023 – 29.12.2023
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
3.3.1.1.	სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;	**შექმნას და ბრძანებით დაამტკიცოს ხარისხის პოლიტიკის უზრუნველყოფის მექანიზმები.** დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. 15. 01. 2023 – 15.02.2024
3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	**დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება;** 09. 01. 2023 – 01.09.2024 წელი • საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეათანხმოს შესაბამის სტურქტურებთან; • სკოლის შენობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნის მოპოვება შესაბამისი უწყებებიდან; • შენობაში განთავსოს საევაკუაციო გეგმები, განათავსოს სახანძრო უსაფრთხოებისათვის საჭირო შესაბამისი რესურსი. • სამედიცინო კაბინეტი აღჭურვოს შესაბამისი ინვენტარით;
3.4.1.5.	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;	**შექმნას და ბრძანებით დაამტკიცოს პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმები. დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 4 გ. ...

		შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. 25. 11. 2023 – 17.12.2023 წელი.
3.6.3.1.	სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;	**შექმნას ვებ-გვერდი. ატვირთოს შესაბამისი მასალები სკოლ ოფიციალურ ვებ-ვერდზე.** დაწესებულებამ უზრუნველყ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმი განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. 01. 09. 2023 – 30.12.2023 წელი.
3.6.3.4.	სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;	**შექმნას ვებ-გვერდი. ატვირთოს შესაბამისი მასალები სკოლ ოფიციალურ ვებ-ვერდზე.** დაწესებულებამ უზრუნველყ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმი განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. 01. 09. 2023 – 30.12.2023 წელი.
3.6.3.5.	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების	**შექმნას ვებ-გვერდი. ატვირთოს შესაბამისი მასალები სკოლ ოფიციალურ ვებ-ვერდზე.** დაწესებულებამ უზრუნველყ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმი განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. 01. 09. 2023 – 30.12.2023 წელი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 4 გ.ბ.

	შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.	
სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
4.2.3.1.	სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;	**შეიმუშავოს და ბრძანებით დაამტკიცოს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები. დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება.** 30. 01. 2024 – 25.03.2024 წელი.
4.2.3.2.	სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.	**სასკოლო საზოგადოების ჩართულობით შეიმუშავოს და ბრძანებით დაამტკიცოს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები, რომელიც დაფუძნებული იქნება მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერაზე. დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება.** 30. 01. 2024 – 25.03.2024 წელი.

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 4 ფანცულია

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*რჩევა*
ინდიკატორი N 1.2.2.	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;	**სკოლას მიეცა რჩევა,** რომ ხედვა და ღირებულებები შეუსაბამოს სკოლის მისიას. განსაზღროს მკაფიო მიზნები და მიზნების შესაბამისი ამოცანები. სტრატეგიულ გეგმაში გაწეროს, სტრატეგიული მიზნების შესრულების ვადები და განსაზღვროს შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები.
ინდიკატორი N 1.2.2.	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;	**სკოლას მიეცა რჩევა,** რომ სამოქმედო გეგმა დაეყრდნოს სტრატეგიული განვითარების გეგმას და გამომდინარეობდეს სტრატეგიული განვითარების მიზნებიდან.
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*რჩევა*
3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	სასურველია სკოლას ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებული სპეციალისტი ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად .
3.5.1.2.	დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;	**სკოლას მიეცა რჩევა,** რომ • ბიბლიოთეკაში განთავსდეს კომპიუტერები და აღიჭურვოს ინტერნეტით. • სკოლის ბიბლიოთეკარმა შექმნას ერთწლიანი სამუშაო გეგმა, რომლითაც წინასწარ გაწერს აქტივობებს, ღონისძიებების ნუსხას, მიზნებსა და ამოცანებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 4 გიორგაია

		• ბიბლიოთეკასა და ლაბორატორიაში განთავსდეს ქცევისა და უსაფრთხოების წესები, გაიწეროს სამუშაო საათები. • მოიძებნოს სივრცე სააქტო დარბაზისათვის ან საკონფერენციო ოთახისათვის, სადაც შესაძლებელი იქნება სხვადასხვა ინიციატივების დაგეგმვა და განხორციელება.
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**რჩევა**
4.1.2.4.	სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.	**სკოლას მიეცა რჩევა,** რომ სკოლის მიერ ყველა ინფორმაცია, რომელიც ეხება პროგრამებს, სერვისებსა და სხვადასხვა აქტივობებს რეგულარულად განთავსდეს სკოლის შიდა სივრცეში, თვალსაჩინო ადგილას, ასევე სკოლის ვებ-გვერდზე, ინფორმაციის გავრცელება უნდა მოხდეს კანონმდებლობის მოთხოვნათა (მათ შორის პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის) დაცვით.
4.2.1.3.	მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;	**სკოლას მიეცა რჩევა,** რომ სკოლამ შიდა რეგულაციით განსაზღვროს მოსწავლის და მისი მშობლის ინდივიდუალური ინფორმირების მექანიზმები მათი აკადემიური მიღწევების შესახებ (კონფიდენციალურობის დაცვით), ხოლო მოსწავლის ან მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მხრიდან არსებული საჭიროების შემთხვევაში გათვალისწინებული იქნას დახმარების სხვადასხვა ფორმა; დამატებითი მეცადინეობა, კონსულტირება ვადებისა და ფორმის მითითებით.
4.2.2.3.	სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.	**სკოლას მიეცა რჩევა**, რომ კარიერული განვითარების სერვისის გაუმჯობესების მიზნით განახორციელოს კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების კვლევა, რომლის საფუძველზე შესაძლებელი იქნება იდენტიფიცირება რამდენად დაეხმარა მოსწავლეს სკოლაში მიღებული კარიერული დაგეგმვის სერვისი მათი უნარების და ინტერესების შესაბამისი პროფესიული არჩევანის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 4 გაუცია

		გაკეთებაში ან/და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელებაში.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური**	*რჩევა*
N 2.1.1.2	კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;	• სკოლას მიეცა **რჩევა** - კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის შემოშავებისას დაზუსტდეს სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციები და კურიკულუმის განვითარების პროცესში მათი მონაწილეობის ფორმები განხორციელდეს სასკოლო საზოგადოების ინტერესების კვლევა (კონრეტული ინსტრუმენტების გამოყენებთ) და კვლევის შედეგები აისახოს კურიკულუმში. • **სპორტის ექსპერტის მხრიდან გაიცა რჩევა,** მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმებში სამივე საფეხურზე გაიწეროს კომპლექსური დავალებები, რომელიც გათვლილი იქნება თითოეული მოსწავლის უნარებსა და შესაძლებლობებზე. თემასთან - „გასართობი თამაშები ხელბურთის ელემენტებით“ - მიმართებით შეირჩეს შესაბამისი რესურსი.
N 2.1.1.3	კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;	**სკოლას მიეცა რჩევა,** რომ სკოლამ შეიმუშავოს და განსაზღვროს პროცედურები და ინსტრუმენტები, რომელთა მეშვეობითაც მოხდება სასკოლო საზოგადოების ინტერესების კვლევა, მათი ჩართულობის უზრუნველყოფა სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 4 გიორგია

N 2.1.2.4.	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;	**სპორტის ექსპერტის მხრიდან გაიცა რჩევა,** რომ მიმდინარე სასწავლო წლისათვის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელმა სამივე საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილ ყველა თემასთან მიმართებით შეიმუშაოს შეფასების რუბრიკები.
N 2.2.2.2.	საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;	**სკოლას მიეცა რჩევა, რომ** სამივე საფეხურზე გამოკვეთოს საგნობრივი კონტექსტები ისე, რომ ხელი შეეწყოს მოსწავლის სოციო-ემოციურ განვითარებას.
N 2.2.2.3.	შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;	**სკოლას მიეცა რჩევა,** რომ სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაში შეიქმნას მრავალფეროვანი შეფასების რუბრიკები, რომელიც ორიენტირებული იქნება მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.
N 2.3.1.3.	მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.	**სკოლას მიეცა რჩევა,** გაიწეროს კონკრეტული მექანიზმები, ინსტრუმენტები და პროცედურები კურიკულუმის დანერგვის პროცესის შესასწავლად. იდენტიციფირებული პრობლემის გადასაჭრელად გამოიკვეთოს კონკრეტული მექანიზმები და პროცედურები.
N 2.4.1.2.	კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.	**სკოლას მიეცა რჩევა,** რომ კურიკულუმის გადამუშავების პროცესში გამოიყენოს მონაცემების შეგროვების სხვადასხვა მეთოდი.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ? ფანცულია

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

სკოლამ გაიზიარა ექსპერტების დასკვნის პროექტში ასახული ფაქტობრივი გარემოებები. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ინდიკატორების მიხედვით გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები, საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსები, გათვალისწინებულია რისკები, გაწერილია აქტივობის დაწყების და დასრულების თარიღი. ექსპერტთა ჯგუფმა იმსჯელა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის რელევანტურობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ გარკვეული ინდიკატორები, რომლებიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც - „არ შეესაბამება", ექსპერტების მხრიდან შეფასდა როგორც „შესაბამისი" და „მეტწილად შესაბამისი", ვინაიდან სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგინდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს ცვლილებებს შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადების (არაუმეტეს 12 თვე) მიხედვით.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

1. სსიპ - ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელედის საჯარო სკოლამ წარმოადგინა 2022 წლის 6 სექტემბრის სამეურვეო საბჭოს სხდომაზე წარდგენილი და პედაგოგიური საბჭოს 2022 წლის N 1 ოქმით დამტკიცებული სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელშიც დეკლარირებულია სკოლის მისია, რომლითაც დგინდება, რომ „სკოლის მისიაა, დანერგოს მეთოდები, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა ანალიტიკური აზროვნების განვითარებას, სწავლებნის ხარისხის ამაღლებას, მეთოდები, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა ანალიტიკური აზროვნების განვითარებას, სწავლების ხარისხის ამაღლებას, შეძენილი ცოდნის პრაქტიკულ ცხოვრებაში რეალიზების უნარის გამომუშავებას, მოსწავლეებში ტოლერანტობის სამშობლოს სიყვარულის, ურთიერთპატივისცემის გრძნობების გაღვივებას.“ წარმოდგენილი ნარატივის მიხედვით სკოლისთვის მნიშვნელოვანია „მომავალი თაობა იყოს ლოგიკურად და კრიტიკულად მოაზროვნე, უნდა დავეხმაროთ ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაში, ხელი შევუწყოთ ციფრული კომპეტენციების განვითარებასა და გავუწიოთ ფსიქო-ემოციური მხარდაჭერა.” ექსპერტთა კორპუსის ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა 2023 წლის 6 სექტემბერს პედაგოგიური საბჭოს N 1 ოქმით დამტკიცებული სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელშიც სკოლის მისიის განსხავებული ტექსტია წარმოდგენილი. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით სკოლის მისიაა; „მისიაა განათლებული, კრიტიკულად მოაზროვნე, ჯან-საღი, ტოლერანტი, კონკურენტულ გარემოში თვითდამკვიდრების უნარის მქონე პიროვნების აღზრდა-ჩამოყალიბება, რომელიც ორიენტირებულია ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებზე.” სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა სტრატეგიული განვითარების გეგმა (09.09.2021 წ.) რომელშიც ასევე დეკლარირებულია სკოლის მისია სულ სხვა კონტენტით და წარმოდგენილია განსხვავებული შინაარსის მქონე ნარატივით. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით სკოლის მისიაა; „ა) სწავლა-სწავლების მაღალი სტანდარტები; ბ) უსაფრთხო, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობისაგან თავისუფალი და წამახალისებელი გარემო; გ) ზრუნვა მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განვითარებისათვის; ე) მოსწავლისათვის იმ უნარ-ჩვევების განვითარება, რომლებიც თითოეულ მათგანს მისცემს საშუალებას უკვე არსებული გამოცდილება და მიღწევები გამოიყენოს ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად; ვ) თითოეული მოსწავლისათვის ადამიანის უფლებების დაცვისა და პიროვნების პატივისცემის უნარის გამომუშავება.” სკოლას არა აქვს შემუშავებული ხედვა. სკოლას ასევე განემარტა, რომ ხედვაში ასახული უნდა იყოს, თუ როგორ ხედავს სკოლა საკუთარ თავს დროის განსაზღვრული პერიოდის შემდეგ. სკოლის მიერ თვითშეფასების პროცესში წარმოდგენილი მასალების მიხედვით დგინდება, რომ სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის N 49/2 (10.06.2023 წელი) ბრძანებით დამტკიცებული იყო განსაზღვრული ჯგუფი, რომელსაც უნდა ემუშავა სკოლის მისიისა და ხედვის რევიზიაზე, თუმცა ვიზიტის პროცესში სკოლის ადმინისტრაციასთან ინტერვიუებით დადგინდა, რომ აღნიშნულ ჯგუფს არ ჰქონდა დასრულებული მისიასა და ხედვაზე მუშაობა. **სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შექმნას ერთიანი დოკუმენტი სკოლის მისიის სახით.** **სკოლას არა აქვს შემუშავებული ხედვის ამსახველი დოკუმენტი.** სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრატეგიული განვითარების დოკუმენტში ერთ-ერთ ამოცანად მითითებულია სკოლის ხედვის შემუშავება. ვიზიტის პროცესში სკოლამ ვერ წარმოადგინა სასკოლო საზოგადოების მიერ შემუშავებული ხედვის ამსახველი დოკუმენტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: [signature]

<u>სკოლას მიეცა რეკომენდაცია,</u> რომ სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულმა ჯგუფმა, რომელიც აღნიშნული მიმართულებით მუშაობს, შექმნას ხედვის ამსახველი დოკუმენტი, რომელიც სკოლის მისიის რელევანტური იქნება და არ მოვა წინააღმდეგობაში ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც დაგეგმა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები, საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსები, გათვალისწინებულია რისკები, გაწერილია აქტივობის დაწყების და დასრულების თარიღი. წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, სკოლამ უკვე შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც მუშაობს ხედვის შემუშავებაზე. სკოლამ მტკიცებულებების სახით წარმოადგინა;** სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება N 84/1, სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N 1

დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. 15. 11. 2023 – 29.12. 2023

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორის შეფასება შეიცვალა და იგი შეფასდა, როგორც ,,მეტწილად შეესაბამება“.

2. ვიზიტის პროცესში დირექციასთან, პედაგოგებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა საკუთარ თავს წარმოიდგენს, როგორც სოციო-კულტურულ სივრცეს. სკოლაში დასტურდება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის თანამშრომლობის, გუნდურობის მექანიზმები. ვიზიტისას დადასტურდა, რომ სკოლაში არსებობს პოზიტიური, თანამშრომლობითი გარემო, რამაც შესაძლოა ხელი შეუწყოს სასკოლო საზოგადოების განვითარებასა და წინსვლას. <u>თუმცა სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმით, რომელშიც დეკლარირებული იყო სკოლის მისია, არ დასტურდება, რომ სკოლას შემუშავებული აქვს ხედვა, როგორც დოკუმენტი, რომელშიც სკოლა განსაზღვრავს მისიის ნაბიჯ-ნაბიჯ რეალიზების გზას.</u> სკოლის მიერ წარმოდგენილ სხვადასხვა დოკუმენტში; ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმა, ფიქსირდება სკოლის მისიის ტექსტის სხვადასხვა ნარატივი, რომელიც აცდენაშია ერთმანეთთან. **<u>სკოლას მიეცა რჩევა, რომ</u>** <u>გადახედოს სკოლის მისიას და შეიმუშავოს მკაფიოდ ფორმულირებული ტექსტი.</u> **<u>სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შეიმუშავოს და დაამტკიცოს მისიასთან რელევანტური ხედვა,</u>** <u>რომელიც საშუალებას მისცემს სასკოლო საზოგადოებას, დეკლარირებულად წარმოაჩინოს განსხვავება არსებულ და სასურველ მდგომარეობას შორის, რომელიც იქნება მამოტივირებელი და უნიკალური სასკოლო საზოგადოებისათვის.</u>

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც დაგეგმა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები, საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსები, გათვალისწინებულია რისკები, გაწერილია აქტივობის დაწყების და დასრულების თარიღი. წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, სკოლამ უკვე შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც მუშაობს ხედვის შემუშავებაზე. სკოლამ მტკიცებულებების სახით წარმოადგინა; სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება N 84/1, სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N 1.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: [illegible]

დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. 15. 11. 2023 – 29.12.2023

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორის შეფასება შეიცვალა და იგი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება."

3. სკოლამ მისიისა შემუშავებაში (<u>სკოლას არა აქვს შემუშავებული ხედვისა და ღირებულებების ამსახველი დოკუმენტი)</u> სასკოლო საზოგადოების ჩართულობის დასადასტურებლად წარმოადგინია პედაგოგიური საბჭოს 2023 წლის 06 სექტემბრის სხდომის ოქმი N 1 და სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 06 სექტემბრის სხდომის ოქმი. <u>სკოლამ ვერ წამოადგინა **ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის ამსახველი დოკუმენტი,**</u> რომლითაც განისაზღვრებოდა მისიის, ხედვისა და ღირებულების შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის ხელშემწყობი მკაფიო მექანიზმები ან პროცედურები. გამომდინარე იქედან, რომ ვიზიტისას სკოლამ განაცხადა, რომ დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებით დამტკიცებული ჯგუფი გეგმავდა მისიის რევიზიას და ხედვა/ღირებულებების შემუშავებას, **სკოლას მიეცა რეკომენდაცია,** რომ სხვადასხვა ინტერვენციებით და აქტივობებით უზრუნველყოს სასკოლო საზოგადოების, მოსწავლეთა თვითმმართველობის ჩართვა სკოლის <u>ხედვა/ღირებულებების შემუშავების პროცესში,</u> რათა გამოიკვეთოს სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა რგოელის თანამშრომლობა მისიის რევიზიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესში. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც დაგეგმა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები, საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსები, გათვალისწინებულია რისკები, გაწერილია აქტივობის დაწყების და დასრულების თარიღი. წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, სკოლამ უკვე შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც მუშაობს ხედვის შემუშავებაზე. სკოლამ მტკიცებულებების სახით წარმოადგინა;** სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება N 84/1, სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N 1.
დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. 15. 11. 2023 – 29.12.2023.
აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორის შეფასება შეიცვალა და იგი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება."

4. სკოლის მისიის გაზიარებისათვის გამოყენებულია შემდეგი მექანიზმი; მისია დეკლარირებულია სასკოლო სასწავლო გეგმაში (2023-2024 წწ სასკოლო სასწავლო გეგმა). სასკოლო სასწავლო გეგმა შემუშავებულია სკოლის დირექტორის მონაწილეობით, შეთანხმებულია სკოლის სამეურვეო საბჭოსთან და დამტკიცებულია სკოლის პედაგოგიური საბჭოს მიერ. (2023 წ. 06 სექტემბერი) <u>სკოლის ვებ-გვერდი ვიზიტის დროს დამუშავების პროცესში იყო და მასზე არ იყო ატვირთული სკოლის მასალები და რამე ტიპის დოკუმენტი. სკოლაში ვიზიტისას ასევე დადგინდა, რომ სკოლის მისია არ არის გამოკრული/განთავსებული თვალსაჩინო ადგილას.</u> თუმცა ინტერვიუებით დადგინდა, რომ სკოლის მისია გაჟღერებულია სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე და მშობლებთან შეხვედრებზე. სკოლამ ვიზიტისას გამოთქვა მზაობა, რომ მისიის რევიზიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების შემდგომ გამოიყენებს სხვადასხვა საინფორმაციო არხს, სკოლის თვალსაჩინო ადგილებს, განახორციელებს სხვადასხვა აქტივობებს, რათა სკოლის მისია/ხედვა

და ღირებულებები გაზიარებული იყოს სასკოლო საზოგადოების მიერ. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სკოლას არა აქვს შემუშავებული ხედვისა და ღირებულებების ამსახველი დოკუმენტი.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც დაგეგმა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები, საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსები, გათვალისწინებულია რისკები, გაწერილია აქტივობის დაწყების და დასრულების თარიღი. წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, სკოლამ უკვე შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც მუშაობს ხედვის შემუშავებაზე. სკოლამ მტკიცებულებების სახით წარმოადგინა; სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება N 84/1, სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N 1.

დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. (15. 11. 2023 – 29.12.2023)

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორის შეფასება შეიცვალა და იგი შეფასდა, როგორც ,,მეტწილად შეესაბამება."

5. სკოლის დირექციის განმარტებით, სკოლის მისია საჯაროდაა ხელმისაწვდომი. სკოლამ წარმოადგინა სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. ვიზიტისას დადასტურდა, რომ აღნიშნული დოკუმენტი არ არის განთავსებული საინფორმაციო დაფაზე. სკოლის მიერ მოწოდებული ვებ-გვერდის ლინკის ვერ მოხერხდა (https://skolebi-admin.emis.ge/dashboard) რადგან ვებ-გვერდი არ იხნება. სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა აღნიშეს, რომ გვერდი დამუშავების პროცესშია და მასზე არ არის ატვირთული რამე ტიპის ინფორმაცია ან დოკუმენტი. გამომდინარე იქედან, რომ ვიზიტის პროცესში სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული ხედვისა და ღირებულებების ამსახველი დოკუმენტი, აღნიშნულის გათვალისწინებით

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც დაგეგმა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები, საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსები, გათვალისწინებულია რისკები, გაწერილია აქტივობის დაწყების და დასრულების თარიღი. წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, სკოლამ უკვე შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც მუშაობს ხედვის შემუშავებაზე. სკოლამ მტკიცებულებების სახით წარმოადგინა; სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება N 84/1, სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N 1.

დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. (15. 11. 2023 – 29.12.2023.)

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორის შეფასება შეიცვალა და იგი შეფასდა, როგორც ,,მეტწილად შეესაბამება."

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ? გ.ბ.

6. სკოლის სახელწოდება - ,,სსიპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელედის საჯარო სკოლა“ შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N448, 2005 წლის 13 სექტემბერი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №194, 2007 წლის 16 მარტი „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“). აღნიშნულის გათვალისწინებით **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- 2023 წლის 06 სექტემბრის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N 1
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N 1
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი
- სტრატეგიული განვითარების გეგმა
- დირექტორის ბრძანება N 49/1
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- სკოლის ვებ-გვერდი - https://skolebi-admin.emis.ge/dashboard

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 4 გიორგაია

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. <u>სკოლამ ვერ წარმოადგინა სტრატეგიული დაგეგმარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის შესახებ დოკუმენტი. ვიზიტისას დაზუსტდა, რომ სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული აღნიშნული დოკუმენტი.</u> **სკოლას მიეცა რეკომენდაცია,** შეიმუშავოს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც დაგეგმა და განახორციელა შესაბამისი აქტივობები; (15.10.2023 – 22.10.2023)

- სტრატეგიული განვითარების გეგმაზე მომუშავე ჯგუფის სამუშაო სხდომის ოქმი N 2 (18.10.2023 წ.)
- სკოლის დირექტორის მ/შ ბრძნება N 79/2 - სკოლის სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ.
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია. დამკიცებული დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ. ბრძანება N 79/2

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორის შეფასება შეიცვალა და იგი შეფასდა, როგორც „შეესაბამება.“

2. სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული განვითარების გეგმა - დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს მიერ 2023 წლის 25 აგვისტოს (ოქმი N 6) წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი. (2023 – 2030 წწ) სტრატეგიული გეგმა არის ციკლური. კერძოდ, განსაზღვრულია დოკუმენტის განახლება/მომზადება ყოველ შვიდ წელიწადში ერთხელ. თუმცა წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა არ არის თანხვედრაში მისიასთან. არ მოიცავს მისიასთან თავსებად მიზნებსა და მიზნების შესაბამის ამოცანებს. **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ <u>ხედვა და ღირებულებები შეუსაბამოს სკოლის მისიას. განსაზღროს მკაფიო მიზნები და მიზნების შესაბამისი ამოცანები. სტრატეგიულ გეგმაში</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: [signature]

გაწეროს, სტრატეგიული მიზნების შესრულების ვადები და განსაზღვროს შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები. **ინდიკატორის დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლამ წარმოადგინა 2023-2024 სასწავლო წლის სკოლის განვითარების სამოქმედო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ. წარმოდგენილი დოკუმენტი არ ასახავს სკოლის სტრატეგიულ გეგმასთან თავსებად მიზნებსა და ამოცანებს. სკოლის ადმინისტრაციამ ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა მუშავდება წინა წლის შედეგების გათვალისწინებით, რომელიც, თავის მხრივ, ეყრდნობა საგნობრივი კათედრების წლიურ ანგარიშებს. **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ სასურველია სამოქმედო გეგმა დაყრდნოს სტრატეგიული განვითარების გეგმას და გამომდინარეობდეს სტრატეგიული განვითარების მიზნებიდან. აღნიშნულის გათვალისწინებით, **შეიძლება დაკმაყოფილებულად ჩაითვალოს.**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმაში (2023-2024 წწ) წარმოდგენილია მსხვილი მიზნები, არ არის განსაზღვრული მიზნის განსახორციელებლად განსაზვრული ამოცანები, გაზომვადი ინდიკატორები, არ არის განსაზღვრული პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც იქნება რეალისტური. სამოქმედო გეგმაში არ იკითხება, თუ როგორ ხდება იდენტიფიცირებული გამოწვევების გადაჭრა. **აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ინდიკატორთან შესაბამისობა.**
სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც დაგეგმა შესაბამისი აქტივობები. გათვავლა რისკები და შესაბამისი ადამიანური რესურსები. **დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება.** 15. 11. 2023 – 29.12.2023

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორის შეფასება შეიცვალა და იგი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება."

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სტრატეგიული განვითარების გეგმა 2023-2030 წწ.;
- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2023-2024 წწ.;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: [illegible]

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილ დოკუმენტებში სკოლას <u>არ ჰქონდა განსაზღვრული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია,</u> რომელიც მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. ვიზიტის პროცესში დაზუსტდა, რომ სკოლას არ ჰქონდა აღნიშნული დოკუმენტი შემუშავებული. სკოლის ადმინისტრაციამ გამოთქვა მზაობა, რომ უახლოეს პერიოდში შეიმუშავებს და ბრძანებით დაამკიცებს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიას, რომელშიც გათვალისწინებული იქნება მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც დაგეგმა და განახორციელა შესაბამისი აქტივობები; (15.10.2023 წ. – 22.10.2023 წ.)

- სტრატეგიული განვითარების გეგმაზე მომუშავე ჯგუფის სამუშაო სხდომის ოქმი N 2 (18.10.2023 წ.)
- სკოლის დირექტორის მ/შ ბრძნება N 79/2 - სკოლის სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ.
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია. დამკიცებული დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ. ბრძანება N 79/2

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორის შეფასება შეიცვალა და იგი შეფასდა, როგორც „შეესაბამება.“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: [illegible]

2. გამომდინარე იქედან, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, მოცემულ ეტაპზე სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება განხორციელებული არ არის, თუმცა სკოლის სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება სკოლის მზაობა მონიტორინგისა და შეფასების პროცესი იქცეს სასკოლო ცხოვრების განუყოფელ ნაწილად, რომელიც უზრუნველყოფს პროცესების ხარისხიან მიმდინარეობაზე ზედამხედველობასა და მხარდაჭერას. **აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეიძლება დაკმაყოფილებულად ჩაითვალოს.**

3. ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება სკოლის მზაობა, უზრუნველყოს სტრატეგიული გემის შესრულების ანგარიშის წარდგენა სასკოლო საზოგადოებისათვის. რაც შეეხება სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგების საჯაროობას, სკოლის დირექციის განმარტებით სკოლის მიერ სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები ყველა ცნობილი და გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან. აღნიშნული ინფორმაცია დაინტერესებულ მხარეებს მიეწოდება სამუშაო შეხვედრებზე. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

4. ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, მოცემულ ეტაპზე სტრატეგიული განვითარების გეგმის შესრულების შედეგები სკოლას შეფასებული არ აქვს, რაც შეეხება სამოქმედო გეგმის ანგარიშის გამოყენებას მისი შემდგომი განვითარებისათვის, სკოლის ადმინისტრაციის წევრების განმარტებით, სკოლა იყენებს გასული სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შედეგების ანალიზს სკოლის შემდგომი განვითარებისათვის. თუმცა ვიზიტისას სკოლამ ვერ წარმოადგინა აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტი. აღნიშნულის გათვალისწინებით, **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სტრატეგიული განვითარების გეგმა 2023-2030 წწ.;
- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2023-2024 წწ.;

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: [illegible]

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას დამტკიცებული აქვს საშტატო განრიგი. სკოლის სტრუქტურული ერთეულებია: უმაღლესი არჩევითი ორგანო - სამეურვო საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დირექცია, ადმინისტრაცია, პედაგოგიური საბჭო, სანგობრივი კათედრები, დისციპლინური კომიტეტი და მრჩეველთა საბჭო. სკოლამ ვიზიტის პროცესში წარმოადგინა საშტატო ნუსხა, რომლის მიხედვითაც სკოლის საშტატო განრიგით დასაქმებული პირები არიან: დირექტორი, ბუღალტერი, ბიბლიოთეკარი, საქმისმწარმოებელი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, საგნის მასწავლებლები, სკოლის ექთანი, დარაჯი, დამლაგებელი და ცეცხლფარეში. სკოლამ წარმოადგინა დასაქმებულ პირებთან გამოფრმებული შრომითი ხელშეკრულებები, სადაც გაწერილია მათი უფლება-მოვალეობები, თუმცა ხელშეკრულებები არის ზოგადი ხასიათის და არ ასახავს დასაქმებულ პირთა კონკრეტულ ფუნქცია-მოვალეობებსა და სამუშაო აღწერილობების შესაბამის ვალდებულებებს. ვიზიტის პროცესში დაზუსტდა, რომ სკოლას არა აქვს შემუშავებული სკოლის სტრუქტურული ერთეულებისა და პირთა ფუნქცია-მოვალეობები. წარმოდგენილ შინაგანაწესში არ არის ასახული დასაქმებული პირებისა და თანამშრომლების ფუნქცი-მოვალეობები. **სკოლას მიეცა რეკომენდაცია,** <u>რომ შექმნას სკოლის სტრუქტურის შემადგენლობის და პირთა ფუნქცია-მოვალეობების დამტკიცების შესახებ დოკუმენტი, რომელიც დააზუსტებს სკოლის სტრუქტურული ერთეულების</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ? გიორგაია

ფუნქციებს და დასაქმებულთა სამუშაო აღწერილობას. სკოლამ გამოთქვა მზაობა, რომ მკაფიოდ გაწერდა სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებსა და დასაქმებულთა მკაფიო სამუშაო აღწერილობებს.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც დაგეგმა შესაბამისი აქტივობები; (05.11. 2023 - 15.11.2023 წ.)

- დანართი 3 - დირექტორის ბრძანება ფუნქცია-მოვალეობების დამტკიცების შესახებ. ბრძანება N 84/1 (20.11.2023 წ.)
- სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი N 2
- ბრძანებით დამტკიცებული სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორის შეფასება შეიცვალა და იგი შეფასდა, როგორც „შეესაბამება.“

2. სკოლას არა აქვს მკაფიოდ განსაზღვრული, გაწერილი სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია/მოვალეობები. თუმცა წარმოდგენილი საშტატო განრიგის, (ნუსხის) მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემების (პერსონალის შესახებ) და წარმოდგენილი ხელშეკრულებების მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები განაწილებულია, არ ხდება ფუნქცია - მოვალეობების დუბლირება. სტრუქტურული ერთეულები მთლიანობაში სრულად მოიცავს ყველა იმ სფეროსა და არეალს, რომლებიც სკოლის ძირითად საქმიანობას და სტრატეგიული მიზნების შესრულებას უკავშირდება და უზრუნველყოფს სკოლის ძირითად, მმართველობით და დამხმარე პროცესების მართვას. **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ საშტატო განრიგსა და სკოლის სტრუქტურაში მკაფიოდ გაწეროლს სკოლის სტრუქტურული რგოლებისა და დასაქმებულ პირთა ფუნქცია-მოვალეობები. **აღნიშნულის გათვალისწინებით, შესაძლოა ინდიკატორი დაკმაყოფილებულად ჩაითვალოს.**

სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები გადანაწილებულია დასაქმებულთა მიერ დაკავებული შრომითი პოზიციების მიხედვით. დაკისრებული შრომითი მოვალეობები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. (შრომის კოდექსი, ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი და სხვა) **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის შინაგანაწესი;
- შრომით ხელშეკრულებები;
- საშტატო განრიგი (ნუსხა)

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ? ფანცულია

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლამ მტკიცებულებებად წარმოადგინა სკოლის წესდება, შინაგანაწესისი და პერსონალთა გაფორმებული ხელშეკრულებები. სკოლის შინაგანაწესი არეგულირებს უსაფრთხოებისა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელ ნორმებს, შრომითი ურთიერთობის წარმოშობასა და შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა/საბოლოო ანგარიშსწორებას, სამუშაო და დასვენების დროსა და შრომის ანაზღაურების პირობებს, შვებულების ხანგრძლივობასა და მიცემის წესს, წახალისებას და დისციპლინურ პასუხისმგებლობის სახეებს. შრომის შინაგანაწესი, სკოლის წესდება, უზრუნველყოფს პროგნოზირებად სამუშაო გარემოს. აღნიშნული დოკუმენტები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. თანამშრომლებთან ხელშეკრულებები გაფორმებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით, ვაკანსიის არსებობისას იქმნება კომისია და ვაკანსია ცხადდება საჯაროდ teacherjobs.ge-ზე. <u>სკოლას არა აქვს შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის განსაზღვრელი დოკუმენტი, რომლითაც დარეგულირდება ახალი თანამშრომლის-მასწავლებლის აყვანა, პერსონალის შეფასების ზოგადი პოლიტიკა და თანამშრომლის ახალ გარემოში ადაპტაციის ხელშეწყობა.</u> **<u>სკოლას მიეცა რეკომენდაცია,</u>** <u>რომ შექმნას და ბრძანებით დაამტკიცოს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი, რომელიც შესაბამისობაში იქნება მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №174/ნ - თან. (20 აგვისტო, 2019 წ).</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 4 გიორგაია

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც დაგეგმა და განახორციელა შესაბამისი აქტივობები; მტკიცებულების სახით სკოლამ წარმოადგინა ადამიანური რესურსების მართვის განმსაზღვრელი დოკუმენტი. (15.11. 2023 - 20.11.2023 წ.)
აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორის შეფასება შეიცვალა და იგი შეფასდა, როგორც „შეესაბამება."

2. სკოლაში ვიზიტისას ადმინისტრაციასთან ჩატარებული ინტერვიუებით დაზუსტდა, რომ სკოლა საწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით მიმართავს პრევენციულ და ინტერვენციულ ღონისძიებებს. კერძოდ, მასწავლებლის სამსახურში გამოუცხადებლობის შემთხვევაში ხდება მისი იმავე საგნობრივი ჯგუფის სხვა მასწავლებლით ჩანაცვლება და საგაკვეთილო ცხრილის მოდიფიცირება. სკოლის შინაგანაწესი ითვალისწინებს პერსონალის წახალისების, გადაცდომისა და დისციპლინურ პასუხისმგებლობის ზომებს. <u>აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი სასკოლო დოკუმენტებით არ არის დარეგულირებული პერსონალის ინტერვენციული მართვის საკითხები. კერძოდ, არ არის დოკუმენტურად დამტკიცებული დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში როგორ უზრუნველყოფს სკოლა სამუშაოზე არ მყოფი დასაქმებულის ფუნქციების დელეგირებას სხვაზე ისე, რომ არ დაზარალდეს სკოლაში მიმდინარე პროცესები.</u> **სკოლას მიეცა რეკომენდაცია** <u>გაწეროს პრევენციული და ინტერვნციული მართვის პოლიტიკის დოკუმენტი</u>.
სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც დაგეგმა შესაბამისი აქტივობები; (15.11. 2023 - 20.11.2023 წ.) **აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორის შეფასება შეიცვალა და იგი შეფასდა, როგორც „შეესაბამება."**

3. სკოლაში ვიზიტისას ჩატარებული ინტერვიუების დროს სკოლის დირექცია აღნიშნავდა, რომ მაღალმთიან რაიონში კვალიფიციური კადრების მოზიდვა/დასაქმება/შენარჩუნება უდიდესი ამოცანა და გამოწვევაა. სკოლა პრაქტიკით ადასტურებს, რომ მასწავლებლის ვაკანტურ პოზიციაზე კადრის შერჩევის პროცდურას (ვაკანსიის გამოცხადება, კონკურის მოწყობა) ახორციელებს კანონმდებლობის სრული დაცვით. **სკოლას არ აქვს შემუშავებული ადმინისტრაციული პერსონალის შერჩევისა და დასაქმების წესი.** პერსონალის პირადი საქმეების გადამოწმებისას აღმოჩნდა, რომ პერსონალის ნაწილს არ ჰქონდა სრულად წარმოდგენილი საქართველოს კანონით ზოგადი განათლების შესახებ (მუხლი **33 1** - ით პერსონალისთვის დადგენილი შეზღუდვა) განსაზღვრული ცნობები „სქესობრივი თავისუფლების და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ" და საქართველოს მთავრობის N463 დადგენილებით განსაზღვრული ცნობა „უფლების ჩამორთმევის შესახებ". რადგან სოფელ ხელედიდან ქალაქ ქუთაისში ფიზიკურად უნდა ჩასულიყვნენ აღნიშნული ცნობების ასაღებად, სკოლამ გამოთქვა მზაობა, ვიზიტიდან უახლოეს მომავალში ყველა დასაქმებულ პირს პირად საქმეში აისახებოდა კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტი. სკოლაში ვიზიტისას ინტერვიუებით დაზუსტდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარებას ობიექტურობის, გამჭვირვალობის, არადისკრიმინაციულობის, საჯაროობის, კოლეგიურობისა და კორექტულობის პრინციპების გათვალისწინებით. დაწესებულებამ ვიზიტის დროს წარმოადგინა სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ დამტკიცებული ბრძანება ,,სკოლაში ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ", რომლითაც ხორციელდება სკოლის მასწავლებელთა/თანამშრომელთა შერჩევა და

დასაქმება. სკოლა თანამშრომელთა შერჩევისას ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით. სკოლას პედაგოგების მიმართ ინდივიდუალური სამართლებლივი აქტით ადგენს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, თუმცა საკვალიფიკაციო მოთხოვნები არ არის დადგენილი სკოლაში დასაქმებული სხვა პირების (ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, ცეცხლ-ფარეში, დარაჯი და სხვა) მიმართ. **<u>სკოლას არა აქვს შემუშავებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები სკოლის საშტატო განრიგით განსაზღვრული ყველა პოზიციის მიმართ</u>**.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც დაგეგმა და განახორციელა შესაბამისი აქტივობები; (05.11. 2023 - 15.11.2023 წ.) დირექტორის ბრძანება ფუნქცია-მოვალეობების დამტკიცების შესახებ. სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი. მტკიცებულებების სახით წარმოადგინა საკვალიფიკაციო მოთხოვნები საშტატი განრიგით განსაზღვრული ყველა პოზიციის მიმართ.

აღნიშნულის გათვლაისწინებით ინდიკატორის შეფასება შეიცვალა და იგი შეფასდა, როგორც „შეესაბამება."

4. დოკუმენტების შესწავლისა და მართვის საინფორმაციო სისტემიდან პორტირებული მონაცემების საფუძველზე დადგინდა, **რომ სკოლაში დასაქმებულია ხუთი პედაგოგი,** <u>(მუსიკის, ხელოვნების, ფიზიკა-მათემატიკის, ბიოლოგიისა და დაწყებითების პედაგოგები</u>) რომელსაც არა აქვს მინიჭებული სტატუსი. სკოლის ადმინისტრაციასთან ინტერვიუს დროს დაზუსტდა, რომ აღნიშნულ პოზიციებზე გამოცხადებულ კონკურსზე არ გამოცხადდა სტატუსის მქონე პირები. ვერ შეირჩა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრი, იმდენად რამდენადაც სკოლა მდებარეობს მაღალმთიან რეგიონში. (სკოლამ ვაკანსია გამოაცხადა 2023 წლის 5-11 სექტემბერს) აღნიშნული პედაგოგების პირადი საქმეებისა და დადებული ხელშეკრულებების შესწავლის შედეგად მტკიცდება, რომ მიმდინარე ხელშეკრულებები დადებულია კანონთან შესაბამისობაში და გაფორმებულია დროებით - ვაკანსიის გამოცხადებამდე. სკოლას მასწავლებელთან გაფორმებული აქვს სტატუსის შესატყვისი ხელშეკრულებები. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

5. სკოლაში ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუებით ზუსტდება, რომ სკოლაში მართვის პოლიტიკა ხორციელდება თანამონაწილეობითი და გაზიარებული ლიდერობის სახით, რაც გულისხმობს პერსონალის მაღალ ჩართულობასა და თანამშრომლობას დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. წარმოდგენილი დოკუმენტებით (პედაგოგიური საბჭოს, კათედრების და მრჩეველთა საბჭოს ოქმები) სკოლა ადასტურებს, რომ პედაგოგები და მშობელები/ კანონიერი წარმომადგენლები კანონმდებლობით დადგენილი წესით არჩეული არიან სამეურვეო საბჭოში, სკოლის მიერ შექმნილია სამუშაო ჯგუფები, რაც უზრუნველყოფს მონაწილეობით მმართველობის განხორციელებას. პედაგოგებთან და ადმინისტრაციასთან გასაუბრებიდ იკვეთება, რომ სკოლაში არის გაზიარებული ლიდერობა და სკოლის მართვა ხორციელდება უფლებამოსილების დელეგირების და თანამონაწილეობითი მართვის პრინციპებით. **ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება".**

6. პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში არსებობს წარმატებული გამოცდილებების გაზიარების პრაქტიკის ცალკეული მაგალითები და მას განსაკუთრებული დატვირთვა აქვს სასკოლო სივრცეში. ინტერვიუებით დაზუსტდა, რომ სკოლაში წარმატებით ხორციელდება გამოცდილების გაზიარება ურთიერდასწრების გზით. პედაგოგებმა წარმოადგინეს ჩატარებული ინტეგრირებული გაკვეთილების, ერთობლივად განხორციელებული პროექტებისა და სხვადასხვა სასკოლო ღონისძიებების ამსახველი მასალები, რაშიც, მათი განცხადებით, ხელს უწყობს სკოლის ადმინისტრაცია და საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს მატერიალური რესურსით. სკოლის ვიზუალური დათვალიერებით დადასტურდა, რომ სკოლაში მოწყობილია შესაბამისი საერთო სამუშაო სივრცე მასწავლებლებისთვის (სამსაწავლებლო, ინფორმაციული-ტექნოლოგიების კაბინეტი და ინგლისური ენის კაბინეტ) რაც ხელს უწყობს პედაგოგებს შორის ეფექტურ კომუნიკაციას. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს გამოყვეს საქართველოსა და იაპონიას შორის დიპლომატიური ურთიერთობის 30-ე წლისთავთან დაკავშირებით დაწყებითისა და საბაზო საფეხურების მასწავლებლების განხორციელებული სასკოლო პროექტი ,,საკურა თუ ალუბალი?“ , სადაც მოსწავლეებმა კოსტუმირებული პრეზენტაციით წარმოადგინეს იაპონური კულტურა, ტექნოლოგიები და სამზარეულო. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია, რომ სკოლა ახდენს მასწავლებელთა წარმატებული გამოცდილების აღიარებას და ითვალისწინებს წახალისების მექანიზმებს. წარმატებული გამოცდილების გაზიარება ხორციელდება კათედრის სხდომებზე და პედაგოგიურ საბჭოზე. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესი“
- სკოლის შინაგანაწესი
- მართვის საინფორმაციო სისტმის მონაცემები;
- განხორცილებეული ღონისძიებების ამსახველი ფოტო-მასალა.
- ხელშეკრულებები
- იაპონიის საელჩოს უკუკავშირი

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: [illegible]

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები. ვიზიტისას სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის ბრძანება, რომლის მიზანია სკოლაში სწავლების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა, მასწავლებლის შიდა შეფასება, სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის დამკვიდრება, სკოლის მასწავლებლებისათვის პროფესიულ განვითარებაში დახმარება. აღნიშნული ჯგუფი პროფესიული განვითარების მიზნით რეკომენდაციას აძლევს მასწავლებელს შესაბამისი აქტივობებისა და ტრენინგების დაგეგმვაში. ვიზიტისას ინტერვიუებით დაზუსტდა, რომ ხელედის საჯარო სკოლის ადმინისტრაციას გაცნობიერებული აქვს პერსონალის მიზნობრივი პროფესიული განვითარების მნიშვნელობა, სისტემატურად აწარმოებს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას, რათა უზრუნველყოს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირება. სკოლაში პერსონალის შეფასებას გასაუბრებით, შემთხვევების ანალიზით ახორციელებს უშუალოდ ხელმძღვანელი. მასწავლებელთა შეფასებას ანხორციელებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც გეგმაზომიერად ესწრება საგაკვეთილო პროცესს. სკოლამ მტკიცებულებად ასევე წარმოადგინა წამყვანი მასწავლებლის შუამდგომლობა, რომლის წარდგენაც გამოიწვია მის მიერ განოხრციელებულმა სასწავლო აქტივობებმა. სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით, აღნიშნული წარდგენის ინიციატორი და მხარდამჭერი იყო სწორედ ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. აღნიშნულის გათვალისწინებით, **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: [illegible]

2. სკოლა პრაქტიკით ადასტურებს, რომ პერსონალის განვითარებას ანხორციელებს სამუშაო პროცესზე დაკვირვებისა და ურთიერთდასწრების საფუძველზე. სკოლის დირექციასთან ინტერვიუთი დაზუსტდა, რომ სამუშაო პროცესზე დაკვირვების, ურთიერთდასწრებების შედეგად გამოვლენილი საჭიროებები ინდივიდუალურად განიხილება მასწავლებლებთან, რომლებიც თავისმხრივ ზრუნავენ საკუთარი პროფესიული განვითარებისთვის. სკოლას აქვს პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვის მაგალითები. კერძოდ: ისტორიის მასწავლებელმა საგნის გამოცდის ჩაბარებისა და 60 კრედიტიანი პროგრამის გავლის შემდგომ, სკოლის ბაზაზე გაიარა პრაქტიკა მოქმედი ისტორიის მასწავლებლის ხელმძღვანელობით და მიიღო უფროსი მასწავლებლის სტატუსი. წარმოდგენილი სერთიფიკატებით და პედაგოგებთან ჩატარებული ინტერვიუებით ზუსტდება, რომ სკოლის მასწავლებლებმა გაიარეს სხვადასხვა ტრენინგები, სადაც დაეუფლნენ სწავლა-სწავლებისათვის საჭირო უნარ-ჩვევებს, შეიძინეს საჭირო ინფორმაცია. რაც შეეხება ადმინისტრაციულ პერსონალს მათი სიახლეებით ინფორმირებაზე ზრუნავს უშუალო უფროსი ან/და დირექცია. აღნიშნულის გათვალისწინებით, შესაძლებელია **ინდიკატორი შესაბამისად ჩაითვალოს.**

3. სკოლაში დასაქმებული პედაგოგები ჩართული არიან კარიერული დაგეგმვის და წინსვლის სქემაში, მასწავლებელთა პირადი საქმეებით დასტურდება, რომ ისინი ესწრებიან პროფესიული განვითარების ტრენინგებს და მათ ამაში ხელს უწყობს სკოლა ახალი ინფორმაციის მიწოდებით და ტრენინგებზე რეგისტრაციაში დახმარების გზით. სკოლაში ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიებით ზუსტდება, რომ დასაქმებული თანხმობით სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომელთა მონაწილეობას პროფესიული და კარიერული განვითარების მიზნით ჩატარებულ ტრენინგებსა თუ სამუშაო შეხვედრებში; 2022-2023 სასწავლო წელს სკოლის მასწავლებლებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა მიმართულების სავალდებულო ტრენინგებში, რომელიც განკუთვნილი იყო უფროსი სტატუსის მქონე მასწავლებლებისთვის.დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები ჩართული იყვენენ USID-ის მიერ განხორციელებულ ლიდერ მასწავლებელთა ქოუჩინგში და ტრენინგებში. **ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“.**

4. სკოლას ცალკე დოკუმენტის სახით გაწერილი არა აქვს ახალი თანამშრომლის მიღების შემთხვევაში მისი სოციალიზაციისათვის საჭირო ცალკეული საკითხები, თუმცა სკოლის დირექციასთან და პედაგოგებთან გასაუბრებით დასტურდება სკოლის მზაობა, უზრუნველყოს ახალი თანამშრომლის სკოლასთან ადაპტაციის პროცესის ეფექტური მართვა.
კათედრის წევრები არიან ძალიან კეთილგანწყობილ და კოლეგიალურ ურთიერთობაში ერთმანეთთან. სკოლაში იგრძნობა კოლეგიალური სამუშაო გარემო. **სკოლას მიეცა რეკომენდაცია,** რომ <u>შეიმუშავოს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი, რომლითაც განისაზღვრება ახალი თანამშრომლის სოციალიზაცია-ადაპტაციისათვის პროცდურები.</u> სკოლის მხრიდან თანამშრომლის ინტეგრაციის ხელშეწყობის ფაქტი დაადასტურეს სკოლის მასწავლებლებმა და ადმინისტრაციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 4 გ.ბ.

წარმომადგენლებმა გასაუბრების დროს, რითაც შეგვლიძლია ვივარაუდოთ, რომ ახალ თანამშრომელს სასკოლო საზოგადოებაში ადაპტაცია არასდროს არ გაუჭირდება.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც დაგეგმა შესაბამისი აქტივობები; სკოლამ მტკიცებულებების სახით წარმოადგინა ბრძანებით დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი. (15.11. 2023 - 20.11.2023 წ.) დირექტორის ბრძანება ფუნქცია-მოვალეობების დამტკიცების შესახებ. სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორის შეფასება შეიცვალა და იგი შეფასდა, როგორც „შეესაბამება."

5. სკოლის პედაგოგებთან, პერსონალთან გასაუბრებით დგინდება, რომ წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. სკოლის თანამშრომლები ინტერვიუს დროს აღნიშნავენ, რომ დირექცია ყველანაირად ცდილობს მათ მხარდაჭერას. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს დაასახელეს კონკრეტული მაგალითი, რომლის თანახმადაც ტექნოლოგიების მასწავლებლის ინიციატივით ახალი სასწავლო წლიდან სკოლაში შეიქმნა მასწავლებელთა ტექნოლოგიური განვითარების ჯგუფი. აღნიშნული ინიციატივა წაახალისა სკოლის დირექცია, რომლის მხარდაჭერით აღნიშნული ჯგუფი მიმდინარე სასწავლო წლიდან შეუდგა საქმიანობას. ინიციატივის მიზანია, ხელი შეუწყოს მასწავლებლეში ტექნოლოგიური უნარების გაუმჯობესებასა და განვითარებას. დირექციამ გამოთქვა მზადყოფნა ხელი შეუწყოს ინიციატივას და გამოყოს მატერიალური, ტექნიკური და ადამიანური რესურს, პროგრამაში ჩართული პედაგოგები დაასაჩუქროს სერთიფიკატებით. მსგავსი დამოკიდებულება სასკოლო საზოგადოებას, ღიად გააჟღერონ ინიციატივები და იდეები. აღნიშნულის გათვალისწინებით, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანება ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭრის ჯგუფის შექმნის შესახებ.
- პროექტის გეგმა/ფოტოსურათები
- პედაგოგების სერთიფიკატები
- მასწავლებლის ცნობა ტრენინგის გავლის;
- ლიდერი მასწავლებლის სერტიფიკატი.
- შინაგანაწესი;
- კათედრის ოქმები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ✓ გ.ბ.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ ვიზიტის პერიოდში ვერ წარმოადგინა რაიმე სახის მტკიცებულება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესახებ, რომელიც მოიცავს უწყვეტ ციკლს და გულისხმობს: დაგეგმვას, განხორციელებას, შეფასებას, რეკომენდაციების შემუშავებას, ინტერვენციას და მის შედეგებზე დაკვირვებას, შემდგომი საჭიროებების დადგენისათვის. **სკოლას მიეცა რეკომენდაცია,** შეიმუშავოს შიდა ხარისხის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 4 გიორგაია

უზრუნველყოფის პოლიტიკის, წესებისა და პროცედურების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების კონკრეტული მექანიზმები. სკოლამ დირექცია, გამოთქვა მზაობა, რომ დაიწყებს აღნიშნულ მიმართულებაზე მუშაობას.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც დაგეგმა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები, საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსები, გათვალისწინებულია რისკები, გაწერილია აქტივობის დაწყების და დასრულების თარიღი. წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, სკოლამ უკვე შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც მუშაობს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის, წესებისა და პროცედურების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების კონკრეტული მექანიზმების შემუშავებაზე. დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. (15. 01. 2023 – 15.02.2024)

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორის შეფასება შეიცვალა და იგი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება.“

2. დოკუმენტის სახით, რომლშიც იდენტიფიცირებული და გაწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები, სკოლას არა აქვს შემუშავებული. თუმცა ინდიკატორში აღნიშნული პროცესები წარმოდგენილია სკოლის სხვადასხვა რეგულაციაში, როგორიცაა; სკოლის წესდება, შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა, კათედრების დებულება. თითოეულ ზემოთ ჩამოთვლილ დოკუმენტში გაწერილია შესაბამისი საქმიანობის აღმწერი პროცესები. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება, მოსწავლის სერვისების განხორციელება, ფინანსური რესურსებს მართვა, ადამიანური რესურსების მართვა, მატერიალური რესურსის მართვა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, საქმისწარმოება (დოკუმენტბრუნვა) დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტებით. წარმოდგენილი ხელშეკრულებებით დასტურდება, რომ მოწესრიგებულია შრომითი ურთიერთობი (სამსახურში გამოუცხადებლობის შეტყობინების წესი, ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და სხვა). **სკოლას მიეცა რჩევა,** შექმნას ერთიანი დოკუმენტი, სადაც გაწერილი იქნება საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების მაიდენტიფიცირებელი პროცესები. აღნიშნულის გათვალისწინებით, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. დაწესებულების შინაგანაწესით დადგენილია, რომ დასაქმებულთა დისციპლინურ გადაცდომებს განიხილავს სკოლის დირექტორი და სკოლის დირექტორის გადაწყვეტილებით დასაქმებულთა დისციპლინური გადაცდომა შეიძლება განიხილოს დისციპლინურმა კომიტეტმაც, რაც შეეხება მასწავლებლებს - დისციპლინური გადაცდომების განხილვაზე უფლებამოსილია დისციპლინური კომიტეტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ✓ გაუცხია

სკოლის მიერ დადგენილი გასაჩივრების მექანიზმები შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და შესაძლებლობას იძლევა მოხდეს წარდგენილ საჩივრებზე ეფექტური რეაგირება. აღნიშნულის გათვალისწინებით, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლას პერსონალთან და მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება, სადაც გაწერილია მათი უფლება-მოვალეობები. პერსონალთნ გაფორმებული ხელშეკრულებების ითვალისწინებს შინაგანაწესის გაცნობას. შინაგანაწესი ასევე ითვალისწინებს დისციპლინური კომიტეტის საქმიანობის წესსა და რეგულაციებს, აღწერილია უფლებამოსილების ფარგლები. სკოლის შინაგანაწესით დარეგულირებული საკითხები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შინაგანაწესი
- მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები
- სასკოლო სასწავლო გეგმა.
- საქმისწარმოების ერთიანი წესი;

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 4 გიორგია

1. სსიპ - ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელედის საჯარო სკოლას არა აქვს შემუშავებული „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი“. თუმცა ადმინისტრაციის განმარტებით, საზოგადოების ინფორმირების მიზნით მართვის პროცესებთან დაკავშირებით აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელს, რომლის საშუალებითაც ვრცელდება მართვის პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაცია და აღნიშნული საშუალებით ხდება უკუკავშირის მიღება. დაწესებულებისთვის კომუნიკაციის ძირითად საშუალებას წარმოადგენს სკოლის ოფიციალური ვებ-გვერდი, ელექტრონულ ფოსტა: (https://www.facebook.com/profile.php?id=100010844014549) სკოლის დირექციის განმარტებით, დამრიგებლების მიერ ჩატარებული შეხვედრებიდან კომუნიკაციის პროცესში მიღებული უკუკავშირი გამოიყენება საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ვიზიტის პროცესში სკოლამ წარმოადგინა დამრიგებლების პორტფოლიეობი, რომლითაც დგინდება, რომ სკოლა მშობლებთან კომუნიკაციას ამყარებს კლასის დამრიგებლების მეშვეობით. კრებების მეშვეობით სკოლა აწვდის ყველა სახის ინფორმაციას მშობლებს. **შეესაბამება ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**

2. სკოლის უმაღლესი არჩევითი ორგანოა სამეურვო საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც გაერთიანებულნი არიან სასკოლო საზოგადოების წევრები; მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი. (2022 წლის 27 ივნისი. სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი №5) დისციპლინურ გადაცდომებთან მიკუთვნებულ საკითხებს განიხილავს დისციპლინური კომიტეტი, რომელიც ასევე სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებით არის დაკომპლექტებული. მოსწავლეთა თვითმმართველობას - მოსწავლეთა არჩევით ორგანოს ჰყავს თავისი წარმომადგენელი სამეურვეო საბჭოში და დისციპლინურ კომიტეტში. შესაბამისად, მოსწავლეების ჩართულობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში უზრუნველყოფილია, სკოლაში მოქმედი კათედრები და პედაგოგიური საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები მის პასუხისმგებლობის სფეროში არსებულ საკითხებთან დაკავშირებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციით იკვეთება აღნიშნული ორგანოების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმები;
- კოლეგიალური ორგანოების სხდომის ოქმები;
- მშობელთა კრების ოქმი;
- დამრიგებლის პორტფოლიოები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: [illegible]

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ტერიტორია სრულად არის შემოსაზღვრული ღობით და დაცული გარეშე პირთაგან. სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებით განსაზღვრული პირი. (ბრძანება N 50. 15.09.2022 წელი). სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც თავისი უფლებამოსილების ფარგლებში განიხილავს სკოლაში ფიზიკურ უსაფრთხოებას მიკუთვნებულ საკითხებს - (ბრძანება N 54. 15. 09. 2022 წელი). სკოლის დაცვას უზრუნველყოფს 2 დარაჯი. სკოლაში დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებით განსაზღვრულია სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც ვალდებულია განახორციელოს სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების ტექნიკური რეგლამენტითა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ✓ დასრულებულია

სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ საქართველო კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები (ბრძანება N50, 15.09 2022 წ.). მოსწავლეების საგაკვეთილო დროიდან გათავისუფლება ხდება მშობელთან შეთანხმებით და იწარმოება მოსწავლის მიერ სკოლის დატოვების და სკოლაში დაბრუნების აღრიცხვა. დამრიგებლის ფუნქციაა მშობლის მყისიერი ინფორმირება მოსწავლის დაგვიანების და/ან არ გამოცხადების შესახებ. **სკოლა არი არის აღჭურვილი კანონმდებლობით დადგენილი პარამეტრების შესაბამისი ვიდეოსათვალთვალო სისტემით.** სკოლას აქვს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება N41/ნ/01-23/ნ საფუძველზე ექიმის კაბინეტი, თუმცა სკოლაში ვიზიტის დროს ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ აღნიშნული კაბინეტი <u>არ არის მოთხოვნების შესაბამისად აღჭურვილი.</u> **სკოლამ გამოთქვა მზაობა, რომ უახლოეს პერიოდში შეიძენს ექიმის კაბინეტისათვის პირველადი დახმარების მიზნით ყველა საჭირო რესურსს.** სკოლაში დასაქმებულია ექთანი. სკოლამ წარმოადგინა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, სკოლამდელი და ზოგადი განათლების დეპარტამენტის უფროსის თანხმობა სკოლაში ექიმის ვაკანტურ პოზიციაზე ექთნის დასაქმების შესახებ (ბრძანება N MES 9220000321374). ყოველ სართულზე სასწავლო პროცესის განმავლობაში არის მორიგე მასწავლებელი, განრიგი გამოკრულია თვალსაჩინოდ. სკოლამ წარმოადგინა 29.05. 2023 წლის (MIA 3 23 01497462) მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრაზე, მასში გაცემული რეკომენდაციების შესრულების ვადები განსაზღვრულია 30.01.2024 წლამდე. ვიზიტის პერიოდში სკოლას ვალდებულებების ნაწილი გეგმის შესაბამისად განხორციელებული ჰქონდა. სკოლამ წარმოადგინა საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინსფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან წარმოებული მიწერილობა, (MES 2 23 0001318144) რომლის საფუძველზეც სკოლა ითხოვს ფინანსურ მხარდაჭერას სახანძრო უსაფრთხოების რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით. **ვიზიტის დროს სკოლამ ვერ წარმოადგინა შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული და დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. სკოლას არ ჰქონდა გაწერილი პირველად სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. სკოლამ ვერ წარმოადგინა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.** თუმცა სკოლას მიმდინარე წელს დაწყებული აქვს კომუნიკაცია კომუნიკაცია (MES 4 23 0000698083) სსიპ - ლვან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან შენობის ტქნიკური მდგომარეობისა და მის შესაბამისად შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების განსაზღვრისა და შენობის ტექნიკური მდგომარეობის (მდგრადობის) შეფასების მიზნით. სკოლის შენობაში სართულებზე განთავსებულია სახანძრო უსაფრთხოებისათვის საჭირო ყველა რესურსი, განთავსებულია ცეცხლ-მაქრები. სკოლის შენობაში არ არის გამოკრული საევაკუაციო გეგმები. **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ გამოაკრას საევაკუაციო გეგმები და შესაბამისი ნიშნულები ყველა სართულზე.

<u>სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.</u> <u>სკოლას მიეცა რჩევა, რომ სასურველია უზრუნველყოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრის დასაქმება აღნიშნული მიმართულებით.</u>

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც დაგეგმა შესაბამისი აქტივობები, განსაზღვრა შესაბამისი რისკები და ადამიანური და ფინანსური რესურსი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: [signature]

- კორესპონტენცია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან - MES 3 23 0001585617. 21.11. 2023 წ.
- კორესპონდენცია სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან სამედიცინო კაბინეტის აღჭურვასთან დაკავშირებით. MES 5 22 0000911422. 16.08.2022 წ.
- კორესპონდენცია სამხარაულის ეროვნულ ბიუროსთან. MES 2 23 0000696443, 15.06.2023 წ.

დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. 09. 01. 2023 – 01.09.2024 წელი.
აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორის შეფასება შეიცვალა და იგი შეფასდა, როგორც ,,მეტწილად შეესაბამება.“

2. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესითა და პირობებით“. აღნიშნული ბრძანების შესაბამისად სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს საქმიანობას. სკოლაში გამოვლენილ დარღვევებზე ხდება შესაბამისი რეაგირება, სართულების მიხედვით მორიგეობენ მასწავლებლები. სკოლის შინაგანაწესით დარეგულირებულია სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უცხო პირთა გადაადგილების წესი, კერძოდ შინაგანაწესი ზღუდავს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს გარეშე პირთა სკოლის შენობაში ან სკოლის ტერიტორიაზე შესვლას სკოლის დირექციასთან შეთანხმების გარეშე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის დირექციის, მასწავლებლების განმარტებით, სკოლა უზრუნველყოფს, სასწავლო გარემოს ემოციურ და ფსიქოლოგიურ უსაფრთხოებას. სკოლამ წარმოადგინა ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანება, თუმცა სკოლამ ვერ წარმოადგინა სკოლის მიერ გაწერილი შიდა ინსტრუქცია ბავშვზე ძალადობის/სავარაუდო ძალადობის შემთხვევაში რეფერირების პროცედურების შესახებ. <u>**სკოლას მიეცა რჩევა,** რომ სასურველია გაწეროს შესაბამისი პროცედურები, რომლის ფარგლებშიც უნდა იმოქმედოს ბრძანებით დამტკიცებულმა პირმა.</u> ვიზიტის პროცესში სკოლამ წარმოადგინა დამრიგებლების პორტფოლიოები, რომლითაც დგინდება, რომ სადამრიგებლო საათზე მასწავლებლები მოსწავლეებთან განხილავენ სხვადასხვა თემებს ბავშვთა უფლებების, ძალადობრივი და არაძალადობრივი ქმდებები, კიბერგუბილინგისა და ბულინგის შესახებ. სკოლამ ვიზიტისას წარმოადგინა პირადი ინფორმაციის დაცვასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით მოსწავლეთა ინფორმირების მიზნით განხორციელებული სხვადასხვა აქტივობების დამადასტურებელი ფოტო და დოკუმენტური მასალები. აღნიშნულის გათვალისწინებით, **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

4. სკოლის ტერიტორიისა და შენობის დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლა ჯეროვნად უზრუნველყოფს სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვას. სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით. სკოლაში სველი წერტილები განთავსებულია ყველა სართულზე. სველ წერტილებში დაცულია ჰიგიენური ნორმები, არის საპონი, ხელსახოცი, ურნა. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

5. სკოლას ბრძანებით დამკიცებული ჰყავს არქივზე პასუხისმგებელი პირი, (ბრძანება N 36, 15.03.2018 წ.) მონაცემები ინახება კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნის მისაღწევად. **<u>სკოლას არა აქვს შემუშავებული პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმები.</u> სკოლას მიეცა რეკომენდაცია,** <u>რომ შეიმუშავოს პერსონალური მონაცამების დაცვის მექანიზმები. განსაზღვროს მონაცმთა დაცვის პრინციპები და სასკოლო საზოგადოების და სკოლაში ვიზიტორთა შესახებ შესაგროვებელი/დასამუშავებლი ინფორმაციის ნუსხა, დამუშავებული პერსონალური ინფორმაციის გამოყენების მიზანი და სკოლის ვალდებულება მოპოვებულ და დამუშავებულ ინფორმაციის დაცვასთან დაკავშირებით. განსაზღოვროს პერსონალურ მონაცემებზე წვდომის უფლებამოსილი პირები</u> და მისი ვალდებულებები.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც დაგეგმა შესაბამისი აქტივობები, განსაზღვრა შესაბამისი რისკები და ადამიანური და რესურსი; **დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება.** (25. 11. 2023 – 17.12.2023 წელი.)

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორის შეფასება შეიცვალა და იგი შეფასდა, როგორც ,,მეტწილად შეესაბამება."

6. ვიზულაური დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლის საქმისმწარმოებელთან არის დაცული სკოლის თანამშრომლების და მოსწავლეების პირადი საქმეები, რომელიც შენახულია და ხელმისაწვდომი არ არის გარეშე პირთათვის. სკოლა მუშაობის პროცესში იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს. სკოლაში გამოყენებულ ყველა კომპიუტერში ლიცენზირებული პროგრამაა. პერსონალური ინფორმაცია არ ზიარდება ვებგვერდებზე, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხდება ინფორმაციისა და ფაილების სარეზერვო კოპირება. სკოლაში გამოყენებულ ყველა კომპიუტერში ლიცენზირებული პროგრამა არის ჩატვირთული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

7. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც თავისი უფლბამოსილების ფარგლებში შეისწავლის სკოლაში უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებს და გასცემს სათანადო რეკომენდაციებს, ისმენს დირექტორის ანგარიშს რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით და შედეგებს ითვალისწინებს აუცილებელი უსაფრთხოების მექანიზმების გასაუმჯობსებლად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: [illegible]

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ბრძანება უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შესახებ.
- ბრძანება სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ.
- დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების შესახებ.
- ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის შეძენის ამსახველი დოკუმენტაცია;
- სკოლის დერეფნებში მასწავლებლების მორიგეობის განრიგი.
- ექთანთან გაფორმებული ხელშეკრულება
- ინსფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან წარმოებული მიწერილობა

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: [illegible]

3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა მდებარეობს ლენტეხის მუნიციპალიტეტში, სოფელი ხელედი. დაზუსტებული ფართობია 6738.00 კვ.მ. სკოლის შენობა და შესაბამისი მიწის ფართობი, ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სახელმწიფო საკუთრებაა და სკოლას გადაცემული აქვს სარგებლობის უფლებით (უსასყიდლოდ), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლამ წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (N 882013339495- 18.07.2013 წელი). უძრავი ქონების საკადასტრო კოდია № 87.03.25.003. მიწის დაზუსტებული ფართობია; 6738.00 კვ.მ. მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებით. წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერით, სსიპ - ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელედის საჯარო სკოლა მითითებულია, როგორც მოსარგებლე. სკოლა სრულად გარემონტდა 2017 წელს მილენიუმის პროგრამის ფარგლებში და აღიჭურვა ათასაწლეულის გამოწვევის ფონდის მიერ. სკოლას აქვს ადაპტირებული შესასვლელი და და ადაპტირებული სველი წერტილი პირველ სართულზე. თითოეულ სართულზე განთავსებულია საკლასო ოთახები. სკოლაში სულ 12 საკლასო ოთახია. სკოლაში არის სამასწავლებლო, დირექტორის, ადმინისტრაციის, ბუღალტრის ოთახები, სველი წერტილები გოგონების, ვაჟების და პერსონალისათვის. სკოლას აქვს დახურული შიდა დარბაზი და ღია სპორტული მოედანი. <u>სკოლას არა აქვს სააქტო დარბაზი. რესურს/ოთახი.</u> სკოლას აქვს სრულად აღჭურვილი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, რომელიც შენობის პირველ სართულზეა განთავსებული. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიაში განთავსებულია კოლბები; მულაჟები; მიკროსკოპები; მაგნიტები; პლასტმასის ცილინდრები; კომპასი და სხვა ნივთები, რომლის დახმარებითაც მოსწავლეებს შეუძლიათ პრაქტიკული მუშაობა. სკოლაში მოწესრიგებულია ელექტროენერგიის მიწოდების სისტემა. თითოეულ საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი განათება, ყველა სასწავლო ოთახს აქვს ორი დიდი ფანჯარა. პირველ სართულზე განთავსებულია ბიბლიოთეკა. მეორე სართულზე სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, რომელშიც განთავსებულია 5 კომპიუტერი და 1 პროექტორი. სკოლა უზრუნველყოფილია ინტერნეტით და ვაიფაი მხარდაჭერით. დოკუმენტურად სკოლას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: [illegible]

უდასტურდება 83 მერხი/სკამი. უდასტურდება 10 კომპიუტერი, 2 მრავალფუნქციური პრინტერი, 1 პროექტორი, ასევე, სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებები, რომლებიც საჭიროა საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად. თითოეული საკლასო ოთახი აღჭურვილია სასკოლო დაფით. ამჟამად სკოლაში არის 14 ერთეული დაფა. ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტაციით დასტურდება საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობისთვის აუცილებელი სხვადასხვა მომსახურებისა თუ რესურსის შეძენის საკითხი, შესაბამისი ფინანსური ხარჯები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. ვიზიტის პროცესში **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ სასურველია სკოლის ბიბლიოთეკარმა შექმნას ერთწლიანი სამუშაო გეგმა, რომლითაც წინასწარ გაწერს აქტივობებს, ღონისძიებების ნუსხას, მიზნებსა და ამოცანებს. ბიბლიოთეკაში წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, აღრიცხულია და განლაგებულია თაროებზე კატალოგის მიხედვით. ლაბორატორიაში დაცულია მოსწავლეთა უსაფრთხოების ზომები. **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ ბიბლიოთეკასა და ლაბორატორიაში განთავსდეს ქცევისა და უსაფრთხოების წესები, გაიწეროს სამუშაო საათები. ბიბლიოთეკა არ არის აღჭურვილი ციფრული ტექნიკით. **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ სასურველია ბიბლიოთეკაში განთავსდეს კომპიუტერები და აღიჭურვოს ინტერნეტით. სკოლის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ არასოდეს ჰყოფილათ სპეციალური და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლე. სკოლას არა აქვს რესურს-ოთახი. კომპიუტერული ლაბორატორია განთავსებულია შენობის მე-2 სართულზე. **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ გამოყოს რესურს ოთახი, რომელსაც აღჭურვილი იქნება სსსმ მოსწავლეებისთვის განკუთვნილი მატერიალური რესურს. მასწავლებლებისათვის განკუთვნილი სამასწავლებლო და საგნობრივი კაბინეტები აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით და მატერიალური რესურსით (პრინტერი, კარტრიჯი, საკანცელარიო საქონელი) ხელმისაწვდომია პედაგოგებისთვის. ადმინისტრაციული-ტექნიკური პერსონალისთვის საკუთარი ფუნქცია-მოვალეობების შესასრულებლად საჭირო რესურსი - კაბინეტები, კომპიუტერები, პრინტერები, საკანცელარიო საქონლით და შესაბამისი ინვენტარით არის უზრუნველყოფილი. საერთო სარგებლობის სივრცეებში (ბიბლიოთეკა) ვერ გამოიყენება სხვადასხვა სასკოლო ინიციატივების განსახორციელებლად, რადგან სკოლის ბიბლიოთეკათი არ არის განთავსებული კომპიუტერი. სკოლას არ აქვს სააქტო დარბაზი. **სკოლას მიეცა რჩევა,** საზიარო სივრცეებში - ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო - განათავსოს კომპიუტერები, მოძებნოს სივრცე სააქტო დარბაზისათვის ან საკონფერენციო ოთახისათვის, სადაც შესაძლებელი იქნება სხვადასხვა ინიციატივების დაგეგმვა და განხორციელება. სკოლამ გამოთქვა მზაობა აღნიშნული მიმართულებით დაგეგმოს და განახორციელოს საჭირო აქტივობები. **აღნიშნულის გათვალისწინებით, შესაძლებელია ინდიკატორი დაკმაყოფილებულად ჩაითვალოს.**

3. სკოლის დირექციამ ვიზიტის პროცესში ინტერვიუებით აღნიშნა, რომ არასოდეს ჰყოლიათ სპეციალური ან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლე. სკოლის ინფრასტრუქტურა ვერ ქმნის ინკლუზიურ გარემოს. სკოლის შენობის ადაპტირებულია, დამონტაჟებულია პანდუსი, ხოლო სკოლის შიგნით სართულებზე გადაადგილებისათვის არ არის პანდუსი, პირველ სართულზე არის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ? გაუცხია

ადაპტირებული სველი წერტილი შშმ პირთათვის. საერთო სარგებლობის სივრცეები პირველ სართულზეა. **ინდიკატორი შეიძლება დაკმაყოფილებულად ჩაითვალოს.**

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლას აქვს დახურული და სპორტული დარბაზები და ღია სპორტული მოედანი. <u>სკოლას არა აქვს სააქტო ან საკონფერენიო დარბაზი/ოთახი.</u> სკოლას არა აქვს რესურს/ოთახი. **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ <u>შენობაში გამოათავისუფლოს შესაბამისი სივრცე, რომელის გამოყენება შესაძლებელი იქნება საკონფერენციო ან სააქტო სივრცის ფუნქციით.</u> სკოლის ვრცლი დერეფნები იძლევა შესაძლებლობას ჩატარდეს სხვადსხვა სასკოლო სასწავლო შემეცნებითი და სპორტული სახის ღონისძიებები. აღნიშნულის გათვალისწინებით, შესაძლებელია **ინდიკატორი დაკმაყოფილებულად ჩაითვალოს.**

5. სკოლას აქვს დახურული სპორტული დარბაზი (გასახდელებით) და ღია სპორტული მოედანი, სადაც შესაძლებელია სხვადასხვა ფიზიკური აქტივობების განხორციელება. შესყიდულია ფეხბურთის, კალათბურთის ბურთები, ჭადრაკის დაფები, მხიარული სტარტების აღჭურვილობა. საკლასო ოთახებში განთავსებულია შესაბამისი საგნის პლაკატები და თვალსაჩინოებები, რუკები და სხვა. სკოლას ვიზიტის პროცესში უდასტურდება 10 ერთეული კომპიუტერი. ბიბლიოთეკაში დაცულია საბიბლიოთეკო წესით დამუშავებული მხატვრული ლიტერატურა, სახელმძღვანელოები, მეთოდური ლიტერატურა. ბიბლიოთეკარს არა აქვს სამოქმედო გეგმა. სკოლის ბიბლიოთეკაში არ არის განთავსებული კომპიუტერი, **სკოლას მიეცა რჩევა,** <u>ბიბლიოთეკაში დამონტაჟდეს კომპიუტერი, აღიჭურვოს ინტერნეტ კავშირით. სკოლის ბიბლიოთეკარმა შეიმუშავოს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.</u> სკოლაში ფუნქციონირებს სრულად აღჭურვილი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია. ლაბორატორიაში დამონტაჟებულია გამწოვი, არის ონკანი/გამდინარე წყალი და განთავსებულია შენობის პირველ სართულზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, **შესაძლებელია ინდიკატორი დაკმაყოფილებულად ჩაითვალოს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
- შენობა-ნაგებობის სქემა
- შესყიდვების დოკუმენტები
- ბიბლიოთეკის დებულება
- ვიზუალური დათვალიერება
- ინვენტარიზაციის აქტი

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 4 დასტურია

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სასკოლო-სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგები. სკოლის ბალანსზე ირიცხება 10 კომპიუტერი, რომელიც გადანაწილებულია კომპიუტერულ ლაბორატორიაში, დირექციისა და ადმინისტრაციის კაბინეტებში. სკოლის ბალანსზე ირიცხება 1 პროექტორი, 2 მრავალფუნქციური პრინტერი. სკოლის ბიბლიოთეკასა და სამედიცინო პუნქტში არ არის განთავსებული კომპიუტერი. <u>სკოლა საჭიროებს ტექნოლოგიების განახლებას.</u> სკოლას არა აქვს შედგენილი კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი/ გრაფიკი. **სკოლას მიეცა რეკომენდაცია,** რომ <u>შეიქმნას კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი და განრიგი, რომელიც განთავსდება კომპიუტერულ ლაბორატორიაში. სკოლას ასევე მიეცა რჩევა, რომ სასურველია ბიბლიოთეკასა და სამედიცინო პუნქტში განთავსდეს კომპიუტერული ტექნიკა, რომელიც გააჩენს საზიარო სივრცეებს სკოლაში.</u> სკოლამ გამოთქვა მზაობა, იმუშაოს ამ მიმართულებით. აღნიშნულის გათვალისწინებით.
სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც დაგეგმა და განახორციელა შესაბამისი აქტივობები; (18.10.2023 - 27.10.2023 წ.)
სკოლამ მტკიცებულებების სახით წარმოადგინა ბრძანებით დამტკიცებული კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი და შემუშავებული განრიგი. დანართი 5. კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორის შეფასება შეიცვალა და იგი შეფასდა, როგორც „შეესაბამება.“

2. სკოლა ნაწილობრივ უზრუნველყოფს კომპიუტერებისა და შესაბამისი მომსახურების ხელმისაწვდომობას, როგორც მოსწავლეებისათვის, ასევე მასწავლებლებისათვის. დაწესებულებაში მოწყობილია კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სამუშაო საზიარო სივრცე ადმინისტრაციისათვის, მოსწავლეებისა და პედაგოგებისათვის. მოსწავლეებისათვის საზიარო სამუშაო სივრცე მოწყობილია მხოლოდ კომპიუტერულ ლაბორატორიაში. იგივე სივრცით სარგებლობენ პედაგოგები, რომლებსაც ასევე შეუძლიათ საზიარო სივრცით ისარგებლონ სამასწავლებლო კაბინეტით. **სკოლას მიეცა რეკომენდაცია,** რომ შეიმუშავოს კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი და პირობები, რომლის ფარგლებში მოსწავლეებს ზუსტად ეცოდინებათ კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის დრო, კონკრეტული პირობები. სკოლამ გამოთქვა მზაობა, შეიმუშავოს აღნიშნული წესი და პირობები. სკოლის ბიბლიოთეკა არ არის აღჭურვილი ინფორმაციული ტექნოლოგიებით. **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ საზიარო სივრცის შესაქმნელად მნიშვნელოვანია სკოლის ბიბლიოთეკაში განთავსდეს კომპიუტერული ტექნიკა. სკოლას არა აქვს შემუშავევბული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინსფრასტრუქტურის გამოყენების წესი. **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ შეიმუშავოს ციფრული განვითარების გეგმა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება სასკოლო საზოგადეობისათვის ციფრული ტექნოლოგიების სასკოლო დროს გამოყენებისა და სარგებლობის დრო/ შესაბამისი წესი, რაც გაზრდის მოსწავლეების სწავლა-სწავლების ხარისხს. სკოლამ გამოთქვა მზაობა, რომ იმუშავებს ამ მიმართულებით.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც დაგეგმა და განახორციელა შესაბამისი აქტივობები; (18.10.2023 - 27.10.2023 წ.) სკოლამ მტკიცებულებების სახით წარმოადგინა ბრძანებით დამტკიცებული კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი და შემუშავებული განრიგი. დანართი 5. კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორის შეფასება შეიცვალა და იგი შეფასდა, როგორც „შეესაბამება.“

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კომპიუტერული ლაბორატორია.
- მიღება/ჩაბარების აქტები.
- ვიზუალური დათვალიერება.
- ინტერვიუ.

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 4 გიორგია

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს საქმის წარმოების წესი, რომელიც დამოწმებულია დირექტორის მიერ (N 35/ა. 2012 წელი, 15 იანვარი) აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს სკოლაში საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას, ადგენს დოკუმენტებსა და მოქალაქეთა განცხადებებზე, წერილებზე მუშაობის წესს. წესი სავალდებულოა ყველა თანამშრომლისთვის. აღნიშნული წესი შესაბამისობაში მოდის მოქმედ კანონმდებლობასთან და აზუსტებდეს შემდეგ საკითხებს: დოკუმენტების რეგისტრირების პროცედურები, დოკუმენტების ფორმები და ტიპები, გასული და შემოსული კორესპონდენციების რეგისტრირება, დოკუმენტების შედგენა, გაფორმება. საქმისმწარმოებელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება. (შრომითი ხელშეკრულება N28, 2022 წლის 1-ლი სექტემბერი) ის უზრუნველყოფს საქმისწარმოების გამართულად მუშაობას; ახორციელებს სასკოლო დოკუმენტაციის აღრიცხვასა და რეგისტრაციას; უზრუნველყოფს მოსწავლეთა მოძრაობისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელებას. სკოლაში მოქმედებს ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი, გასული და შემოსული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალი, შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი. ელექტრონული საქმისწარმობისათვი გამოიყენება დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა eflow. დოკუმნტაცია მუშავდება და ტარდება eflow სისტემაში. შემოსულ და გასულ დოკუმენტაციას ენიჭება დოკუმენტის ნომერი ამ დოკუმენტით განსაზღვრული მუშაობის წესი სავალდებულოა სკოლის ყველა თანამშრომლისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას Eflow, eschool, Office 365, Gmail, ელექტრონული ჟურნალი. სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის გამოყენებული აქვს სხვადასხვა ჯგუფები სოციალურ ქსელში. სკოლას არა აქვს შემუშავებული ციფრული განვითარების ერთწლიანიგეგმა. სკოლას მიეცა ამ მიმართულებით რჩევა, რომ შეიმუშავოს ციფრული განვითარების სამოქმედო გეგმა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 4 გ.ბ.

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში - eschool.emis.ge. რომლის საშუალებითაც სკოლის მთელ პერსონალსა მოსწავლეებზე გახსნილია შესაბამისი ველი, რომელშიც თავმოყრილია სრული ინფორმაცია. ვიზიტისას გადავამოწმეთ სკოლის პროფილი მართვის საინფორმაციო სისტმაში და ის სრულყოფილია. სკოლის საინფორმაციო ბარათში შეყვანილია ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია. სკოლას გამოყოფილი ჰყას უფლებამოსილი პირი ბაზებთან სამუშაოდ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს, იცავს საქმისწარმოებით განსაზღვრულ ვადებს და თანამშრომლობს აღნიშნულ უწყებებთან. აღნიშნული დასტურდება eflow - ს სისტემაში გატარებული დოკუმენტაციით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საქმისწარმოების წესი (ბრძანება N36/ა, 2012 წ. 15.01)
- ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი
- მართვის საინფორმაციო სისტემა;
- კორესპონდენციის აღრიცხვის ჟურნალი

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 4 გ.ბ.

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას წარმოადგინა ვებ-გვერდის ლინკი, (https://skolebi-admin.emis.ge/dashboard). თუმცა ვერც ვიზიტის დროს და ვერც ვიზიტის შემდეგ ვერ მოვახერხეთ აღნიშნული გვერდის მონაცემების ნახვა, რადგან გვერდი არ იხსნება. ადმინისტრაციის განმარტებით სკოლა საზოგადოების ინფორმირებასა და კომუნკაციას ახორციელებს სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებით, (https://www.facebook.com/profile.php?id=100010844014549&sk=about) და ელექტრონულ ფოსტას (**Kheledi@mes.gov.ge**).

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც დაგეგმა შესაბამისი აქტივობები, განსაზღვრა შესაბამისი რისკები და ადამიანური რესურსი;

ა) შესაბამის უწყებასთან კომუნიკაციის წარმართვა;

ბ) ვებ გევრდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა;

დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. 01. 09. 2023 – 30.12.2023 წელი.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორის შეფასება შეიცვალა და იგი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება."

2. სკოლა უზრუნველყოფს მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას მხოლოდ სანდო და უტყუარ ინფორმაციაზე დაყრდნობით. ინფორმაცია სასკოლო საზოგადოებას მიეწოდება მშობელთა კრებების, სკოლის სოციალურ გვერდის, ელექტრონული ფოსტისა და ელექტრონული ჟურნალის დახმარებით. სკოლის სოციალური ქსელს აქვს შეტყობინების ფუნქცია. სოციალურ ქსელში განთავსებული ინფორმაცია არის უტყუარი და საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია დადასტურება. სკოლას არ ჰყავს ბრძანებით განსაზღვრული პასუხისმგებელი პირი, რომელიც სოციალურ ქსელში ან ვებ გვერდზე ინფორმაციის დრულად გავრცელებაზე იქნება პასუხისმგებელი. სკოლის ელექტრონული ფოსტა გამოიყენება ინფორმაციის სწრაფად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 4 გიორგაია

გავრცელებისა და უკუკავშირის მისაღებად. სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია სანდოა და შესაძლებელია მისი გადამოწმება. სკოლას მიეცა რჩევა, რომ სასურველია შექმნას საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი და განსაზღვროს ამ წესის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

3. სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს მზაობა ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მიზნებისათვის ინფორმაციის შესაგროვებლად აქტიურად გამოიყენოს არსებული საკომუნიკაციო არხები, გამართოს და აამუშაოს სკოლის ვებ-გვერდი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლას მიერ წარმოდგენილი ვებ გვერდი (https://skolebi-admin.emis.ge/dashboard) არ არის გამართული და ვერ ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო არხის ფუნქციას. ადმინისტრაციის განმარტებით, სკოლა აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელს სოციალური ქსელის სხვადასხვა პლატფორმებს. სოციალური ქსელის ფარგლებში სკოლა იყენებს ფეისბუქის (https://www.facebook.com/profile.php?id=100010844014549&sk=about)გვერდს, რომელიც ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. სკოლას მიეცა რჩევა, რომ სასურველია სკოლის პროფილი სოციალურ ქსელში შეცვალოს გვერდის ოფიციალური პლატფორმით, რათა ინფორმაციის წვდომაზე ხელმისაწვდომობა კიდევ უფრო გაიზარდოს.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც დაგეგმა შესაბამისი აქტივობები, განსაზღვრა შესაბამისი რისკები და ადამიანური რესურსი;

ა) შესაბამის უწყებასთან კომუნიკაციის წარმართვა;

ბ) ვებ გევრდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა;

დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. 01. 09. 2023 – 30.12.2023 წელი.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორის შეფასება შეიცვალა და იგი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება.“

5. სკოლას არ გააჩნია ვებ-გვერდი.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც დაგეგმა შესაბამისი აქტივობები, განსაზღვრა შესაბამისი რისკები და ადამიანური რესურსი;

ა) შესაბამის უწყებასთან კომუნიკაციის წარმართვა;

ბ) ვებ გევრდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა;

დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. 01. 09. 2023 – 30.12.2023 წელი.
აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორის შეფასება შეიცვალა და იგი შეფასდა, როგორც ,,მეტწილად შეესაბამება."

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის ვებგვერდი https://skolebi-admin.emis.ge/dashboard
- სკოლის სოციალური ქსელი; https://www.facebook.com/profile.php?id=100010844014549&sk=about
- ინტერვიუ

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: [signature]

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები ადასტურებს, რომ სკოლა შეიმუშავებს როგორც საპროგნოზო, ასევე ფაქტობრივ ბიუჯეტს. ბიუჯეტის შემუშავებისას დაწესებულება ხელმძღვანელობს გასული წლების შემოსავლებისა და ხარჯების ანალიზით. განიხილავს მოსალოდნელ რისკებს, გარე ფაქტორებს. სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება ხდება კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლის ბიუჯეტი ძირითადად ხელფასების დაფარვაზეა ორიენტირებული. წარმოდგენილი დოკუმენტები ადასტურებს, რომ ბიუჯეტს შეიმუშავებს ბუღალტერი დირექტორთან ერთად და დასამტკიცებლად წარუდგენს სამეურვეო საბჭოს. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

2. წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ სკოლა ფინანსურ დაგეგმვას ახორციელებს წინა სასწავლო წელს გაწეული ფაქტობრივი ხარჯების, მიმდინარე წლის შემოსავლებისა და სკოლის მიერ შემუშავებული პრიორიტეტების გათვალისწინებით. სკოლა თანხებს განკარგავს დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად და საჭიროების შემთხვევაში მიმართავს სამეურვეო საბჭოს კორექტირებისთვის. სკოლა ყოველწლიურად ადგენს სკუთარი ფინანსურ ანგარიშს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საპროგნოზო ბიუჯეტი;
- სამოქმედო გეგმა;
- სამეურვო საბჭოს ოქმები;
- ფინანსური ანგარიშები;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ✓ ფარცხია

მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა.**

სკოლაში მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვა ხორციელდება სკოლაში დასაქმებული პირების მიერ უფლებამოსილების ფარგლებში. მოსწავლის უფლებების დაცვა უზრუნველყოფილია სკოლის შინაგანაწესით, რომელიც ხელს უწყობს სკოლაში მოსწავლეთა განათლების ხელმისაწვდომი გარემოს შექმნას. შინაგანაწესით განსაზღვრულია მოსწავლეთა სასწავლო რეჟიმი, მათი უფლებები, პასუხისმგებლობები. სკოლას შემუშავებული და ყველა საკლასო ოთახში გამოკრული აქვს მოსწავლის ქცევის კოდექსი. სკოლას ყველა მშობელთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება რის მიხედვითაც სკოლა, თავისი მოსწავლეთა უსაფრთხოების მიზნით, სკოლის შინაგანაწესში გაწერილია უცხო პირთა გადაადგილების წესი, რომლის განხორციელებას მეთვალყურეობას უწევს სპეციალური მორიგეობის ცხრილის მიხედვით გადანაწილებული სკოლის თანამშრომლები და ღამის დარაჯი. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასა და

ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია უფლებამოსილი პირი, თუმცა ამასთან დაკავშირებული სპეციალური შიდა ინსტრუქცია სკოლას არ აქვს შემუშავებული. სკოლაში შექმნილია „მრჩეველთა საბჭო," რომლის საქმიანობაც ორიენტირებულია სკოლაში უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფასა და მოსწავლეთა კანონიერი უფლებების რეალიზებაზე. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

2. მოსწავლეთა უფლებების დაცვის გარანტიები გაწერილია სკოლის შინაგანაწესში, შემუშავებულია შიდა ინსტრუქციები, განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები. თითოეული დოკუმენტი არის საჯარო და ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისათვის. სკოლაში გამოკრულია ცხელი ხაზის ნომრები შესაბამისი ნიშნულებით თვალსაჩინო ადგილას. სკოლის შინაგანაწესი კლასის ხელმძღვანელების მიერ გაზიარებულია სასწავლო წლის დაწყებისთანავე მშობელთა კრებებზე, ასევე სოციალურ ქსელში სპეციალურად შექმნილ მშობელთა სივრცეებში, სადაც მათ ეძლევათ საშუალება დააფიქსირონ საკუთარი მოსაზრება კომენტარების სახით. სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია სკოლის ფოიეში საინფორმაციო დაფაზე. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.**

3. სკოლის მიერ მშობლებისთვის შეთავაზებული ხელშეკრულების ფორმა აკმაყოფილებს კანონმდებლობით განსაზღვრულ სტანდარტებს და ემსახურება მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესებს. სკოლას მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება. მასში გაწერილია, როგორც მოსწავლის, ისე მშობლის და სკოლის უფლება- მოვალეობები, ხელშეკრულების საგანი, სასწავლო დრო, დასვენების დრო, უქმე დღეები, ხელშეკრულების შეწყვეტის წესი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და დავის გადაწყვეტა, შინაგანაწესის გაცნობა, დამატებითი პირობები, მხარეთა ხელმოწერები. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლიარი აქვს მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს, ხოლო მეორე ინახება სკოლაში. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის თანამშრომელთა მორიგეობის დამტკიცებული ცხრილი;
- „მრჩეველთა საბჭოს ოქმები";

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: [illegible]

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები

1. სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა და მობილობა რეგულირდება კანონმდებლობით, კერძოდ, ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის შესაბამისად, ხოლო მობილობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ'' 2012 წლის 19 სექტემბრის №193/ნ ბრძანების მიხედვით. სკოლა არსებული ადგილების რაოდენობის ფარგლებში იღებს ყველა მოსწავლეს, დისკრიმინაციის გარეშე. სკოლის შინაგანაწესში გაწერილია მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურები. **ინდიკატორის შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს, რაც დასტურდება მოწესრიგებული ელექტრონული ბაზებითა და მოსწავლეთა პირადი საქმეებით. სკოლა მოსწავლეთათვის სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის დროს ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების საფუძველზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მისაღები პირის ასაკის შესაბამისობა, მოსწავლეთა მობილობა, სტატუსის შეჩერებისა თუ შეწყვეტის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისობა, საფეხურის დაძლევა. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია პირი, რომელიც პასუხისმგებელია პროცედურების შეუფერხებლად წარმართვაზე. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი

3. სკოლის თანამშრომლები მოქმედებენ არსებული კანონმდებლობის ფარგლებში, სატელეფონო კომუნიკაციისა თუ პირადი შეხვედრებისას ისინი დაინტერესებულ პირებს აწვდიან საჭირო ინფორმაციას. პროგრამებისა თუ სხვადასხვა მომსახურებების შესახებ ინფორმაცია არის სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი და გამოკრულია სკოლაში თვალსაჩინო ადგილას. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.**

4. სკოლა პროგრამების, სხვადასხვა აქტივობებისა და რესურსების შესახებ ინფორმაციას ავრცელებს სხვადასხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებებით. ინტერვიუებით დაზუსტდა, რომ სკოლა განახლებულ ინფორმაციას სისტემატიურად აწვდის მშობელსა და დაინტერესებულ პირს დამრიგებლების მეშვეობით. რეგულარუდა იმართება შეხვედრები სკოლამდელი ასაკის აღსაზრდებელბის მშობლებთან და დაინტერესებულ პირებთან. **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ სასურველია სკოლის მიერ ყველა ინფორმაცია, რომელიც ეხება პროგრამებს, სერვისებსა და სხვადასხვა აქტივობებს რეგულარულად განთავსდეს სკოლის შიდა სივრცეში, თვალსაჩინო ადგილას, <u>ასევე სკოლის ვებ-გვერდზე,</u> ინფორმაციის გავრცელება უნდა მოხდეს კანონმდებლობის მოთხოვნათა (მათ შორის პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის) დაცვით. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 4 გ.ბ.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საინფორმაციო სისტემის Eschool-ის ბაზა;
- მოსწავლეთა ჩარიცხვის/ამორიცხვის/სტატუსის შეჩერების ბრძანებები;
- მოსწავლეთა პირადი საქმეებით;
- ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: [illegible]

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

1. სკოლა ზრუნავს მოსწავლეზე და მის საჭიროებებზე. ამ მიმართულებით ძირითადი საქმიანობა უწევთ დამრიგებლებს; სკოლის შემოსასვლელში არის პანდუსი. შერჩევითი პრინციპით გადამოწმებულ კლასის დამრიგებლის სამუშაო ჟურნალში თავმოყრილია და სისტემურად გაწერილი აქტივობები, რასაც დამრიგებელი ახორციელებს მთელი წლის განმავლობაში. კლასის სამოქმედო გეგმები, დამრიგებლის ანგარიშები, საკლასო კრებები, განსახილველი თემები, კლასის საჭიროებები. პერსონალური ინფორმაციიდან გამომდინარე, დამრიგებლის ჟურნალში არ არის გამოყოფილი ცალკეული მოსწავლის საჭიროება, თუმცა ინტერვიუს დროს მათ მოიყვანეს მოსწავლის საჭიროებებზე ორიენტირებული კონკრეტული მაგალითები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია .**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

2. სკოლის მოსწავლეები, საჭიროებიდან გამომდინარე, სარგებლობენ სკოლის ადმინისტრაციის და მასწავლებლების მხარდაჭერით არაფორმალური რემედიაციის ფარგლებში. შემთხვევითობის პრინციპით შერჩეულ დამრიგებლის ჟურნალში აღწერილია აქტივობები, რომელიც ხორციელდება მოსწავლეთა სხვადასხვა საჭიროების თუ სურვილის გათვალისწინებით. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

3. სკოლაში ვიზიტისას ინტერვიუებით დაზუსტდა, რომ სკოლა ხშირად ადგენს მოსწავლეთა საჭიროებებს, რის შემდეგაც გეგმავს სათანადო კონსულტაციებსა და მხარდამჭერ აქტივობებს აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. პედაგოგები ხშირად აძლევენ უკუკავშირს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: [signature]

მოსწავლეებს, სადაც ხაზგასმულია მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეები, ხარვეზები. ვიზიტისას დადასტურდა, რომ სკოლას არა აქვს შიდა რეგულაციით განსაზღვრული მოსწავლის და მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინდივიდუალური ინფორმირების მექანიზმები მათი აკადემიური მიღწევების შესახებ. **სკოლას მიეცა რჩევა,** <u>რომ სასურველია სკოლამ შიდა რეგულაციით განსაზღვროს მოსწავლის და მისი მშობლის ინდივიდუალური ინფორმირების მექანიზმები მათი აკადემიური მიღწევების შესახებ (კონფიდენციალურობის დაცვით), ხოლო მოსწავლის ან მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მხრიდან არსებული საჭიროების შემთხვევაში გათვალისწინებული იქნას დახმარების სხვადასხვა ფორმა; დამატებითი მეცადინეობა, კონსულტირება ვადებისა და ფორმის მითითებით.</u> აღნიშნულის გათვალისწინებით, **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;**

4. სასკოლო ადმინისტრაცია აცხადებს მზაობას გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში გაუწიოს მოსწავლეს ადმინისტრაციული მხარდაჭერა კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია .**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;**

5. სკოლაში იგეგმება დამატებითი არაფორმალური წრეების ჩამოყალიბება. სკოლის დირექციამ გასაუბრების პროცესში აღნიშნა, რომ იგეგმება კოლეჯთან ხელშეკრულების გაფორმება. **აღნიშნულის გათვალისწინებით, შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.**

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას. სკოლის დირექციის განმარტებით, შესაბამისი კითხვარებით მოხდება სამომავლოდ ინფორმაციის დადგენა და მოსწავლეების დამატებითი საჭიროებების დადგენა. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ✓ გ.ბ.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ფოტო-მასალა
- ინტერვიუ

4.2.2.სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

1. სკოლას აქვს მზაობა, სამომავლოდ კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ხელმისაწვდომობა გაზარდოს, ინტერვიუს პროცესში დირექციამ აღნიშნა, რომ დადგენილი იქნება ინტერესის სფეროები, მოწვეული იქნებიან შესაბამისი სპეციალობის და კვალიფიკაციის ადამიანები, ასევე იგეგმება კოლეჯებთან მემორანდუმის გაფორმება მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე. ინტერვიუს დროს სკოლის დირექტორი აღნიშნავს, რომ ამ მიმართულებით სკოლაში საქმიანობას ეწევიან კლასების დამრიგებლები, რომლებსაც კონსულტირებას უწევენ საგნობრივი პედაგოგები, რომლებიც ერთობლივად ატარებენ საუბრებს, მართავენ დისკუსიას პროფესიის მიზნობრივად შერჩევასთან დაკავშირებით. აღნიშნულის გათვალისწინებით, **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 4 გიორგაია

2. სკოლას წესი, რომლითაც დადასტურდებოდა მისი მზაობა, რომ მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს მიაწვდის განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით არ წარმოუდგენია, თუმცა წარმოდგენილია პედაგოგიური საბჭოს ოქმი, სადაც კოლეგებმა განიხილეს მოსწავლეების შედეგები. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

3. სკოლამ ვერ წარმოადგინა მეთოდოლოგია, როგორ მოახდენს ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში გაწეული მომსახურების შეფასებას, თუმცა აქვს მზაობა და გეგმავს აღნიშნული მიმართულებით მექანიზმების შემუშავებას. სკოლაში ვიზიტისას ინტერვიუებით დაზუსტდა, რომ სკოლას შეთავაზებული კარიერული განვითარების სერვისის გაუმჯობესების მიზნით არ უწარმოებია კარიერული განვითარების შესაძლებლობების კვლევა. მოცემული ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით **სკოლას მიეცა რჩევა**, რომ სასურველია კარიერული განვითარების სერვისის გაუმჯობესების მიზნით განახორციელოს კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების კვლევა, რომლის საფუძველზე შესაძლებელი იქნება იდენტიფიცირება რამდენად დაეხმარა მოსწავლეს სკოლაში მიღებული კარიერული დაგეგმვის სერვისი მათი უნარების და ინტერესების შესაბამისი პროფესიული არჩევანის გაკეთებაში ან/და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელებაში. სკოლა გამოთქვამს მზაობას, ჩაატაროს მიზნობრივი კვლევა კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ. გეგმავს, გაითვალისწინოს კვლევის შედეგები და მასზე დაყრდნობით განახორციელოს სხვადასხვა ეფექტური აქტივობები. აღნიშნულის გათვალისწინებით, **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კლასის დამრიგებლის გეგმა

4.2.3.სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

1. სკოლას არა აქვს შემუშავებული სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები. სკოლის ადმინისტრაციამ ინტერვიუს დროს დააზუსტა, რომ არასოდეს ყოლია სსსმ მოსწავლე. **სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ** შეიმუშავოს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები.
სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც დაგეგმა შესაბამისი აქტივობები, განსაზღვრა შესაბამისი რისკები და ადამიანური რესურსი;

ა) სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმების შემუშავება
დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. 30. 01. 2024 – 25.03.2024 წელი.
აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორის შეფასება შეიცვალა და იგი შეფასდა, როგორც ,,მეტწილად შეესაბამება.“

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.**
2. ცაგერის მუნისიპალიტეტის სოფელ ხელედის საჯარო სკოლა აცხადებს, რომ მოცემულ ეტაპზე არ ანხორციელებს ამ მიმართულებით მუშაობას, რადგან არ ჰყავს სსსმ მოსწავლე. სკოლას არა აქვს შემუშავებული კონკრეტული მექანიზმები აღნიშნული მიმართულებით. **სკოლას მიეცა რეკომენდაცია,** შეიმუშავოს კონკრეტული მექანიზმები, რომლითაც გამოკვეთს სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის როლს სსსმ მოსწავლეთა წინსვლასა და მხარდაჭერაში.
სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც დაგეგმა შესაბამისი აქტივობები, განსაზღვრა შესაბამისი რისკები და ადამიანური რესურსი; - სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმების შემუშავება, რომლითაც გამოივეთება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის როლი სსსმ მოსწავლეთა წინსვლასა და მხარდაჭერაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ? გიორგია

დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება. 30. 01. 2024 – 25.03.2024 წელი.
აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორის შეფასება შეიცვალა და იგი შეფასდა, როგორც ,,მეტწილად შეესაბამება."

დასტურდება (მტკიცებულებები):

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი,) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი ხასიათის მომსახურების გაწევა (ტრანსპორტირების სერვისი) ხორციელდება სახელმწიფოს მიერ მომსახურეობის მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით.
3. მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (ტრანსპორტირების სერვისი) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე .

1. მოცემულ ეტაპზე სკოლა არ სთავაზობს მოსწავლეებს დამატებითი არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ? გამცუნია

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;

2. სკოლა მოცემული ეტაპისთვის არ სთავაზობს რაიმე სახის დამატებით მომსახურებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

სკოლა მოცემული ეტაპისთვის არ სთავაზობს რაიმე სახის დამატებით მომსახურებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: [illegible]

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: [illegible]

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას არა აქვს შემუშავებული „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“. მასწავლებლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ არსებობს კურიკულუმის დაგეგმვის პრაქტიკა, (როგორც საგნობრივის, ასევე სასკოლო) მშობლებთან თანამშრომლობის, კათედრაზე მასწავლებების თანამშრომლობის გამოცდილება. სკოლა გეგმავს, სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და შეხედულებების შესწავლას. მათი შესაძლებლობების გათვალისწინებას კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში. **სკოლას მიეცა რეკომენდაცია,** რომ შექმნას ,,სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, რომელშიც აღწერილი იქნება შემუშავების პროცესში მონაწილე მასწავლებლების, საგნობრივი კათედრის თავჯდომარეთა და სკოლის დირექციის წევრთა ფუნქციები და ვალდებულებები.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც დაგეგმა და განახორციელა შესაბამისი აქტივობები; (27.10.2023 - 17.11.2023)

- დირექტორის ბრძანება N 83/1 - კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ.
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორის შეფასება შეიცვალა და იგი შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება.“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: [illegible]

2. მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე და ზუსტდება, რომ როგორც სასკოლო, ასევე საგნობრივ კურიკულუმებში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები და პრიორიტეტები. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ მშობლებს, მოსწავლეებს წინასწარ გააცნეს საგნობრივი თემატიკა, რამდენიმე კომპლექსური დავალების იდეა, მიიღეს მათგან უკუკავშირი. მასწავლებლები გასაუბრებისას აღნიშნავდნენ, რომ განსაკუთრებით კურიკულუმების შემუშავების პროცესშია გასათვალისწინებელი მოსწავლეთა შესაძლებლობები, პრიორიტეტები და ინტერესები. კერძოდ, მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობებით. გეგმავენ შერჩეულ კლასებში კომპლექსური დავალებების განხორციელებას, რითაც იმედოვნებენ, რომ სასწავლო პროცესი მეტად საინტერესო გახდება მოსწავლეთათვის. სკოლას მიეცა **რჩევა** - კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის შემოშავებისას დაზუსტდეს სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციები და კურიკულუმის განვითარების პროცესში მათი მონაწილეობის ფორმები განხორციელდეს სასკოლო საზოგადოების ინტერესების კვლევა (კონრეტული ინსტრუმენტების გამოყენებთ) და კვლევის შედეგები აისახოს კურიკულუმში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. მასწავლებლებთან გასაუბრებისა და სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, დასტურდება, რომ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა შემუშავებული და დამტკიცებულია პედაგოგოურ საბჭოზე მასწავლებლების ჩართულობით. საგნობრივი კურიკულუმები განხილული და დამტკიცებულია კათედრის სხდომებზე, მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ აქტიურია მშობელთა ჩართულობა კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებებით , მათთან ხშირი კუმუნიკაცია, საშუალებას იძლევა გაითვალისწინონ მოსაზრებები და შეძლებისდაგვარად უზრუნველყონ მშობელთა ჩართულობა. **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ სკოლამ შეიმუშავოს და განსაზღვროს პროცედურები და ინსტრუმენტები, რომელთა მეშვეობითაც მოხდება სასკოლო საზოგადოების ინტერესების კვლევა, მათი ჩართულობის უზრუნველყოფა სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. პედაგოგებთან ინტევიუებით ზუსტდება, რომ საგნობრივი კათედრები გასული წლის მონიტორინგის შედეგების ანალიზს გადასცემენ სკოლის ადმინისტრაციას, რის საფუძველზეც ხდება შემდეგი წლის კურიკულუმის შემუშავება; ყოველივე ეს განაპირობებს იმას, რომ კურიკულუმში ხდება სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება; სასკოლო საზოგადოება ხდება კურიკულუმის შემუშავების პროცესის მონაწილე და შესაბამისად ბოლომდე იზიარებს მას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კათედრის ოქმები
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- ინტერვიუ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 4 გ.ბ.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლის მიერ შემუშავებული დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას.დოკუმენტურად კომპლექსური დავალებები არ არის მრავლად წარმოდგენილი , თუმცა როგორც პედაგოგებმა აღნიშნეს შერჩეული კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია მოსწავლეთა განვითარებაზე. ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე - სამიზნე ცნებებზე, შედეგები განისაზღვრება მთლიანად სასწავლო კურსის ფარგლებში/საფეხურის დონეზე.ხდება. ცნებების საშუალებით გამთლიანებულ მიზნობრივ ორიენტირად არის წარმოდგენილი ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები. გასაუბრების დროს პედაგოგებმა აღნიშნეს რომ პრიორიტეტად სახელდება კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელთა შესრულებასაც მოსწავლის წინარე გამოცდილება და მაღალი სააზროვნო უნარები სჭირდება.მაგალითად 6 კლასი კომპლექსური დავალება, პოსტერი ავსტრალიაზე. **სპორტის ექსპერტის მხრიდან გაიცა შემდეგი რჩევა:** <u>მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმებში გაიწეროს კომპლექსური დავალებები, რომელიც გათვლილი იქნება თითოეული მოსწავლის უნარებსა და შესაძლებლობებზე. თემასთან - „გასართობი თამაშები ხელბურთის ელემენტებით“ - მიმართებით შეირჩეს შესაბამისი რესურსი.</u>

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ✓ დასტურია

2. პედაგოგების მიერ შექმნილი კურიკულუმები მორგებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაღვრულ გრძელვადიან მიხნებს და მიემართება სამიზნე ცნებებს. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში გაწერილია ყველა სასწავლო თემა და საკითხთა კლასტერები ჩამოყალიბებულია კომპლექსური დავალების იდეები. თუმცა თითეული თემის ფარგლებში ვერ იფარება ყველა სამიზნე ცნება როგორც პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს საგნობრივი კურიკულუმები შექმნის და დახვეწის პროცესშია და მომავალში მოხდება ყველა სამიზნე ცნებების დაფარვა თემის ფარგლებში. საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილია ყველა სასწავლო თემა გამოყოფილია საკითხთა კლასტერები, ცნებები და ნაწილობრივ კომპლექსურის დავალების იდეები. მაგ. მე-5 კლასის საგანი ჩვენი საქრთველო სასწავლო თემა: სვანეთი კომპლექსური დავალების იდეა: კედლის გაზეთის შექმნა ლამპრობის ტრადიიცის შესახებ. პედაგოეგბთან ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ კურიკულუმები დახვეწის პროცეშია და სრულად სამიზნე ცნებების დაფარვას გეგემავენ იმ საკითხთა კლასტერებით რომლებიც გაწერილი აქვთ ჩვენი საქრთველოს კურიკულუმებში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. მასწავლებლები გასაუბრებისას აღნიშნავენ რომ სასწავლო პროცესს მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს არგებენ, სკოლა არის მცირეკონტიგენტიანი, თითოეულ კლასში მოსწავლეთა მცირე რაოდენობიდან გამომდინარე მათთან მუშაობას გეგმავენ დიფერენცირებული მიდგომებით- ითვალისწინებენ თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობებსა და საჭიროებებს, სკოლას სსსმ მოსწავლე არ ჰყავს, სასკოლო სასწავლო გეგმაში ჩადებული აქვს ინკლუზიური განათლების კონცეფცია. გაწერილი აქვთ ინდ. გეგმის შემუშავების ზოგადი პროცედურები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად გამოვლინდა, რომ მასწავლებლები იყენებენ განმსაზღვრელი (მე-6 კლასი და მე-5 კლასის მეორე სემესტრი) და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებს (I-VI კლ). უცხოური ენების კათედრას განსაზღვრული აქვს მოსწავლეთა შეფასების პოლიტიკა, შეფასება მორგებულია მოსწავლეთა საჭროებებსა და ინტერესებზე, აქედან გამოდმინარე დრო და დრო უწევთ კიდეც წინასწარ დადგენილი შფასების რუბრიკების მოდიფიცირება. წარმოდგენილია რამდენიმე განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, პედაგოგების მიერ შემუშაებული შეფასება არის სანდო და გამჭირვალე. მასწვალებლები სათანადოდ იყენებენ ვერბალურ განმავითარებელ უკუკავშირსაც.

სპორტის ექსპერტის მხრიდან გაიცა რჩევა, რომ <u>მიმდინარე სასწავლო წლისათვის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელმა კურიკულუმებში წარმოდგენილ ყველა თემასთან მიმართებით შეიმუშაოს შეფასების რუბრიკები.</u>

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას გაითვალისწინეს და მომავალშიც გაითვალისწინებენ სასწავლო პერიოდში გამოვლენილ ძლიერ და სუსტ მხარეებს. ყურადღება გაამახვილეს იმაზე, რომ კომპლექსური დავალებების შერჩევისას და დაგეგმვისას გაითვალისწინებენ როგორც წინარე გამოცდილებას, ასევე მოსწავლეთა ინტერესებს და რესურსებს, რომელიც საჭირო იქნება კომპლექსური დავალებების განხორციელებისათვის, კომლექსურ დავალებებში გაითვალისწინებენ ისეთ აქტივობებს, რომელიც იქნება

მოსწავლეებისათვის ინტერესის აღმძვრელი, მოსწავლეებს შეეძლებათ სხვა და სხვა, მათთვის მოსახერხებელი ფორმით წარმოადგინონ პრეზენტაცია . ეს მეტად გაზრდის მოსწავლეების ინტერესს, მოტივირებულობას და ხელს შეუწყობს შემოქმედებითობის უნარების განვითარებას. საკუთარ გამოცდილებებს განიხილავენ კათედრაზე, ჯგუფებში. არის აქტიური გამოცდილება კათედრებს შორის თანაშრომლობისა. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ქმნიან ახალი სასწავლო წლის კურიკულუმს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმი;
- კომპლექსური დავალები
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- შეფასების რუბრიკები;
- შემაჯამებელი დავალების ანალიზი;
- კათედრის სხდომის ოქმი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: [signature]

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საგნობრივი ექსპერტების განმარტებით, სკოლას არ წარმოუდგენია მრავალფეროვანი დოკუმენტაცია, თუმცა წარმოებული ინტერვიუებით დაზუსტდა, რომ სკოლაში მაქსიმალურად ცდილობენ, შექმნან მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემო, სადაც მოსწავლეს შეუძლია დამოუკიდებლად აზროვნება, ცოდნის კონსტრუირება-შენება. მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ, რომ თავად ისინი ამ პროცესში ასრულებენ ფასილიტატორის როლს. სწავლა-სწავლების პროცესს ამდიდრებენ რესურსებით, კოგნიტური სქემებით, ასოციაციური რუკებით და ა.შ, რაც მოსწავლეს ეხმარება საკითხის კრიტიკულად გააზრებასა და შემოქმედებითი უნარების განვითარებაში. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ავტორიზაციის მაძიებლობის განაცხადის შევსებიდან ვიზიტამდე კურიკულუმის ჩარჩო გაამდიდრეს, გამოკვეთეს თემებში კომპლექსური დავალების იდეები, საბაზო საფეხურზე მოცემულია კომპლექსური დავალების სრული პირობა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუშით. მასწავლებლები ასახელებენ კონკრეტულ შემოქმედებით პროდუქტებს, რომლებზეც იმუშავეს დაწყებით საფეხურზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები აგებულია სწავლების კონსტრუქტივისტული პრინციპით, წლიდან-წლამდე გათვალისწინებულია წინარე ცოდნაზე ახლის აგება, რაც დასტურდება დაწყებითი საფეხურის კათედრაზე არსებული კურიკულუმებით, პროექტების გეგმებში არსებული მიზნის მიღწევის ამოცანებით და გაკვეთილის გეგმის ნიმუშით. სასწავლო პროცესში გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსებით, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურებას. დავალებების პირობები საშუალებას აძლევს მოსწავლეებს შეიძინონ ცოდნა დაფიქრების, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების საშუალებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში, მოცემულია კომპლექსური დავალების იდეები, აგრეთვე რამდენიმე დავალება სრულყოფილი ფორმით არის გამოგზავნილი, წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები, მათში ჩაშენებული საკვანძო კითხვები, დავალების შესრულების, წარდგენის და პრეზენტაციის შემდგომი შეკითხვები საშუალებას იძლევა, რომ მოსწავლემ თავად განსაზღვროს და დაგეგმოს აქტივობები, აწარმოოს საკუთარი სწავლის პროცესის მონიტორინგი, გააკეთოს რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე.მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს რომ ქართულის გაკვეთილებზე მოსწავლეებს უწევთ პრობლემის გადაჭრაზე ფიქრი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 4 გაწცუხია

გზებისა და ეტაპების დაგეგმვა,მოსაზრებების შეჯერება და საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი დაგეგმილია იმგვარად, რომ აქცენტი კეთდება ცოდნის სამ კატეგორიაზე, მოსწავლე სასწავლო პროცესში ამუშავებს ფაქტობრივ ინფორმაციას, ეცნობა მასალას, გარდაქმნის პროცედურულ ცოდნად და ცოდნის მოქმედებაში გადატანით აყალიბებს პირობისეულ ცოდნად. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებაზე, აღსანიშნავია პროექტი ინგლისურ ენაში ,, მკითხველთა კლუბი" 5 კლასი. ასევე კომპლექსური დავალების ნიმუშში როგორიცაა ,, მწვანე ოთახი" კარგად ჩანს დავალების განხორციელების ეტაპები, რაც იძლევა იმის საშუალებას რომ მოსწავლემ პროცესზე დაკვირვებით გააკეთოს დასკვნები, განახორციელოს კონკრეტული აქტივობები, შეძენილი ცოდნით კი ბოლო ეტაპზე განახორციელოს პროდუქტი. ამგვარად შეგვიძლია დავასკვნათ რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს და კათედრების მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ასახული ინფორმაცია, კომპლექსური დავალებები და საგნობრივი პროექტები ცხადყოფს, რომ ყურადღება მახვილდება მოსწავლის მიერ ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაზე, რაც ხელს უწყობს სიღრმისეულ სწავლას. სკოლა აცნობიერებს, რომ მათ მიერ წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტები საგნობრივი კომპონენტების ურთიერთდაკავშირებული სწავლების საშუალებას იძლევა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმი;
- კომპლექსური ბუნების დავალებები;
- შეფასების რუბრიკები;

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 4 ფანცულია

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის ჩარჩოში ნათლადაა კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის. ამას უზრუნველყოფს ასევე იმ კომპლექსური დავალებების მატრიცები, რომლების შეხვედრის დროს მასწავლებლებმა აღწერეს. წარმოადგინეს მოსწავლეთა მიერ შესულებული დავალებები, პოსტერები გამოკრულია საკლასო ოთახებში. ასევე წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებიდან იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი მიმართულია გრძელვადიანი მიზნების მიღწევის ძირითად ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
2. წარმოდგენილ დოკუმენტებში იკითხება ზოგადი ხედვა, საგნის მასწავლებლებთან გასაუბრებამ შედარებით უკეთ გამოკვეთა, რომ კათედრის წარმომადგენელებს ესმით, რომ საგნობრივი კონტექსტები უნდა ემსახურებოდეს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; მასწავლებლები სასწავლო პროცესში იყენებენ სხვადსხვა რესურსებს თუ აპლიკაციებს, დიაგრამები, ცხრილები, სქემემი, რუკები, სურათები, ილუსტრაციები, რაც ხელს უწყობს ლოგიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას.საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში მხოლოდ ძირითადი ტექსტები არის განსაზღვრული, სკოლას ამ ეტაპზე დამატებითი საგნობრივი კონტექსტები არ აქვს შერჩეული კონკრეტული კომპლექსური დავალების განხორციელებისათვის. **სკოლას მიეცა რჩევა, რომ** <u>დაწყებით საფეხურზე გამოკვეთოს საგნობრივი კონტექსტები ისე, რომ ხელი შეეწყოს მოსწავლის სოციო-ემოციურ განვითარებას.</u> **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. შესაბამისად, სასწავლო პროცესის შეფასება მეტწილად ატარებს ჰოლისტურ ხასიათს. უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების მასალები, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი და ანგარიშები ადასტურებს რომ ჰოლისტური შეფასების პრინციპები მეტწილად გათვალისწინებულია მოსწავლის შეფასებისას, ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და განუყოფელი ნაწილია მოსწავლის ყოველდღიური სასწავლო საქმიანობის. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების ანალიზის შედეგად ვლინდება, რომ შეფასება ხელს უწყობს მოსწავლეების აქტიურ ჩართულობას შეფასების პროცესში, კერძოდ მოსწავლეების მიერ კრიტერიუმების განხილვა, საკუთარი თავის და თანატოლების შეფასება ზეპირსიტყვიერი ან წერილობითი უკუკავშირი. გარდა ამისა, შეფასება ატარებს ავთენტურ ხასიათს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: [illegible]

შეფასების ამოცანები შეესაბამება მოსწავლეების საჭიროებებს, ეხმარება მათ განავითარონ ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები, რომლებიც მათ ცხოვრების მანძილზე დასჭირდებათ. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისად, სკოლაში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი; მოსწავლეს აფასებენ სხვადასხვა ფორმებით: ესსე, პროექტის მომზადება, ზეპირი გამოსვლა, ექსპერიმენტის ჩატარება, ცდის ჩატარება, წარმოდგენა, წერითი, ფერწერული ან სხვა ტიპის ნამუშევარი, არგუმენტირებული მსჯელობა და სხვ.. მოსწავლემ წინასწარ იცის, თვითონაც მონაწილეებენ რუბრიკების შექმნაში, რა კრიტერიუმებით ფასდება მისი სასწავლო აქტივობა, მოსწავლის წინსვლის საშუალებას ძირითადად ხდება განმავითარებელი შეფასებით. შეფასების რუბრიკები ცნობილია მშობლებისთვისაც. მასწავლებლები კათედრაზე ერთად ქმნიან შეფასების რუბრიკებებს სხვადასხვა ნამუშევრისათვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლას არა აქვს შემუშავებული შეფასების სისტემის ვერიფიკაციის ფორმა.** გასაუბრებისას მასწავლებლები ნაწილბრივ საუბრობენ შეფასების სისტემის შეფასებაზე, მონიტორინგზე დირექციის მხრიდან, მაგრამ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან იკვეთება, რომ სკოლაში არ ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი; სკოლამ ვერ დაადასტურა წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ვერიფიკაციის მექნიზმების არსებობა.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც დაგეგმა შესაბამისი აქტივობები; (30.10.2023 - 19.11.2023)

- დირექტორის ბრძანება N 83/2 - შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმების დამტკიცების შესახებ.
- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმები

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორის შეფასება შეიცვალა და იგი შეფასდა, როგორც „შეესაბამება."

6. სკოლას აქვს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების შენახვის გამოცდილება, არანაკლებ 3 წლის ვადით, კერძოდ (ელ ჟურნალი), მოსწავლის პირადი საქმე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელედის საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოები 2023-2024 სასწავლო წელი.
- სასწავლო პროექტები;
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული კომპლექსური დავალებები.
- განმავითარებელი შეფასების ნიმუშები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 4 გ.ბ.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შინაგანაწესის, სასკოლო სასწავო გეგმის, შემაჯამებელი დავალების ანალიზის, განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა რუბრიკისა და საკლასო თუ სასკოლო პროექტების შინაარსების მიხედვით სკოლაში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. მასწავლებლები ინტერვიუირების პროცესში აქტიურად საუბრობენ კოლეგებს შორის პროფესიული გამოცდილების გაზიარების შესახებ და დანერგილია „კრიტიკული მეგობრის“ პრაქტიკა, რაც დასტურდება პედაგოგთა ურთიერთდასწრების ფორმებით. მათივე განმარტებით, მნიშვნელოვანია მოსწავლეებს შეფასების პროცესში მიეცეთ უერთიერთშეფასების საშუალება, ჩაერთონ წყვილში ან ჯგუფურ სამუშაოებში და წარმოაგდინონ სასწავლო თემებთან დაკავშირებული სხვადასხვა იდეები. პროექტის გეგმებში აღწერილი პროცესი მოიცავს მოსწავლეების მიერ სხვადასხვა ღია კითხვაზე პასუხის გაცემის შესაძლებობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სასწავლო პროცესი იმართება მოსწავლეზე ორენტირებულად, მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა საჭიროებებს, იმართება კომპელქსური დავალებების პროდუქტების საკლასო სივრცეში გამოფენა, წარდგენა. (მაგალითად პოსტერების დამზადება , გამოფენა) პედაგოგები აქტიურად თანამშრომლობენ მშობლებთან , როგორც ინტერვიუს დროს გააჟღერეს აქვთ კომპლექსური დავალების დროს გამოსაყენებელი მშობლის ბარათი. საჭიროებების შესაბამისად. პედაგოგები იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს, აქტივობებისა და დავალებების შეთავაზებისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებსა და შესაძლებლობებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. გასაუბრებით ცხადი გახდა, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. კათედრის წევრები წინასწარ გეგმავენ გაკვეთილზე დასწრების გრაფიკს, ერთმანეთს ესწრებიან გაკვეთილზე და აძლევენ უკუკავშირს, რის შემდეგაც სამუშაო შეხვედრების დროს, დასწრების შედეგად შეგროვებული მონაცემების საფუძველზე გამოკვეთენ პრობლემებს და სახავენ პრობლემების მოგვარების გზებს. სხვადსხვა სპორტული აქტივობის დაგეგმვისას ითვალისწინებენ როგორც მოსწავლეების, ასევე მშობლის აზრს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ? გიორგია

4. სკოლის შინაგანაწესის, სასკოლო სასწავლო გეგმის თუ სწავლა-სწავლების პროცესის განხორციელების ხელშემწყობი სხვა დოკუმენტების შინაარსების მიხედვით, სასკოლო საზოგადოება ორიენტირებულია კლასსა და სკოლაში პოზიტიური კლიმატის შექმნაზე. საგნობრივი კურიკულუმებისა თუ საგანმანათლებლო პროექტების მიზნები, თემები/საკითხები და აქტივობები უზრუნველყოფს მოსწავლეებს, მოსწავლეების მშობლებსა და მასწავლებლებს შორის პოზიტიური კომუნიკაციისა და თანამშრომლობითი გარემოს ჩამოყალიბებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პედაგოგებთან ინტერვიუ
- დაწყებითი საფესურის კურიკულუმები ინგლისურ და რუსულ ენებში
- შეფასების მასალები
- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- სკოლის შინაგანაწესი
- ქცევის წესები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 4 გიორგაია

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლას საკუთარი პრაქტიკით აქვს კურიკულუმების მონიტორინგისა და შეფასების გამოცდილება. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კათედრის სხდომებზე განიხილავენ ჩატარებული კომპლექსურებისა და შემაჯამებლების შედეგებს. ერთობლივად სახავენ შედეგების გაუმჯობესების სტრატეგიებს ეს პროცესები აისახება მოსწავლეთა შედეგებზე. სკოლას არა აქვს გაწერილი კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები. კათედრის წევრები ინტერვიუს დროს აღნიშნავდნენ, რომ პერიოდულად ხდება სასწავლო პროცესის მონიტორინგი. შეფასებისათვის იყენებენ სხვადასხვა მეთოდებს - ინფორმაციის შეგროვება, საგაკვეთილო პროცესზე დასწრება. მასწავლებლები გასაუბრებისას აღნიშნავენ, რომ თავად უწევენ სასწავლო პროცესს მონიტორინგს ტესტირების ჩატარებით, კათედრის ხელმძღვანელები ესწრებიან გაკვეთილებს, ანხორციელებენ მონიტორინგს და რეფლექსიის სახით პედაგოგებს სთავაზობენ განვითარებაზე ორიენტირებულ უკუკავშირს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. <u>სკოლას არა აქვს შემუშავებული კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია,</u> რომლის ერთ-ერთ მიზანს უნდა წარმოადგენდეს სასკოლო საზოგადოების წევრების შემუშავებაში ჩართულობა, საჭიროებათა დადგენა და მათზე რეაგირება. <u>მასწავლებლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ კათედრის ხელმძღვანელები ესწრებიან გაკვეთილებს, ახორციელებენ მონიტორინგს და კათედრის წევრებს რეფლექსიის სახით სთავაზობენ განვითარებაზე ორინტირებულ უკუკავშირს.</u> აგრეთვე მასწავლებლები წერენ ანგარიშს, წარუდგენენ კათედრას და შემდეგ ერთად განიხილავენ. დირექციის წარმომადგენლები აკვირდებიან სასწავლო პროცესს და მოსწავლეთა შედეგების დინამიკას სემესტრულად. დაკვირვების/მონიტორინგის შედეგად მიღებული შედეგების გამოყენება ხდება სასკოლო საზოგადოების მხარდასაჭერად. მიღებული შედეგებიდან გამომდინარე იგეგმება მოსწავლის აკადემიურ და მასწავლებლის პროფესიულ საჭიროებებზე რეაგირების აქტივობები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. ინტერვიუს დროს სკოლის პედაგოგებმა დააზუსტეს, რომ კათედრებისა და მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის საფუძველზე ხდება სასწავლო პროცესის მონიტორინგი, არსებული პრობლემების გამოკვეთა. პრობლემის გამოკვეთის შემდეგ ხდება

ერთობლივად, მისი გადაჭრის გზების ძიება და მისი აღმოფხვრა.კათედრის დონეზე არ ჩანს, რომ მონიტორინგი და შეფასება რამდენად განსაზღვრავს, პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. ქოუჩინგის ეტაპზე დაიწყეს ფიქრი კონკრეტულად რა ფორმითა და ინსტრუმენტით განახორციელებენ პედაგოგიკური პრაქტიკის კვლევას, სადიაგნოსტიკო შეფასებასა და თვითშეფასებას. **სკოლას მიეცა რჩევა** - სასურველია <u>გაიწეროს კონკრეტული მექანიზმები, ინსტრუმენტები და პროცედურები დანერგვის პროცესის შესასწავლად.</u> **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა/კურიულუმი (23-24 წწ);
- საგნობრივი კურიკულუმები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- მასწავლებლებთან ინტერვიუ
- საგნობრივი ოქმები;
- კათედრების სამოქმედო გეგმა

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მოსწავლეების შეფასება არ არის მხოლოდ ორიენტირებული კომპლექსური დავალებების საბოლოო პროდუქტის შექმნაზე. მოსწავლეთა შეფასება ხდება კომპლექსური დავალებების მიმდინარეობის დროს, სხვადასხვა აქტივობების საშუალებით, ასევე გამოიყენება მოსწავლეებისადმი გაკეთებული სიტყვიერი კომენტარი კონკრეტული დავალების დროს, სადაც აღნიშნულია მოსწავლის ძლიერი და სუსტი

მხარეები, ასევე მნიშვნელოვანი პედაგოგების ურთერთდასწრება საგაკვეთილო პროცესის დროს (კრიტიკული მეგობარი) რეფლექსია, პრაქტიკის გაზიარება და ერთმანეთისადმი გაწეული შეფასებები, რეკომენდაციები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სასწავლო პროცესის შედეგების შეფასებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, საგნის სწავლების სპეციფიკა, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებიდან მიღებული მონაცემები. მასწავლებლები ინტერვიუირებისას აღნიშნავენ, რომ ითვალისწინებენ, როგორც მოსწავლის შესაძლებლობებს ასევე მათ ოჯახურ მდგომარეობას და ჯანმრთელობას, ასევე ყურადღება ექცევა რამდენად უზრუნველყოფს განხორციელებული სასწავლო პროცესი მოსწავლეებში ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული თეორიული ცოდნის გადაცემას, უნარების გამომუშავებასა და ღირებულება-დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლების ინტერვიუირების მიხედვით შეფასებისას გამოიყენება მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდები: მასწავლებლის პირადი ჩანაწერები, განმავითარებელი/განმსაზღვრელი შეფასებები, მოსწავლის განვითარების დინამიკაზე დაკვირვება, მოსწავლეთა თვითშეფასება, უკუკავშირი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. დაწყებითი საფეხურზე წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები მოიაზრებს შეფასების განხორციელებას სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. როგორიცაა მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი, რასაც ხელს უწყობს კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები. საფეხურის სპეციფიკის გათვალისწინებით, შეფასებისას ყურადღება ექცევა სხვადასხვა ფაქტორს: ვინ, რაში, როგორ და რატომ ფასდება, შეფასების რომელი მეთოდები იქნება ადეკვატური შეფასებისას, რატომ არის აუცილებელი მონიტორინგი და შეფასება, რა შედეგის მომცემი იქნება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პედაგოგებთან ინტერვიუ
- დაწყებითი საფესურის კურიკულუმები ინგლისურ და რუსულ ენებში
- შეფასების მასალები
- სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტები

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 4 დასტურია

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შესწავლილი დოკუმენტაციიდან და კათედრის წევრებთან გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ სკოლაში საგნობრივი კათედრები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, უცვლიან ერთმანეთს ინფორმაციას დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ. გამოთქვეს მზაობა, რომ მომავალში მოხდება კურიკულუმების გადასინჯვა და რევიზია, კურიკულუმის დანერგვის პროცესში გაკეთებული დასკვნების განზოგადება და პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული აქტივობების დაგეგმვა. ახალი კურიკულუმის შედგენისას გაითვალისწინებენ წინა წლის მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს და შესაბამისად აწარმოებენ ამ პროცესის ამსახველ დოკუმენტაციას. როგორც პედაგოგებმა აღნიშნეს მნიშვნელოვანია, რომ დაგეგმვის პროცესში მიღებული მიგნებები და რეფლექსიის შედეგები გააზრებული და გაზიარებული იყოს სასკოლო საზოგადოების მიერ, გათვალისწინებული იყოს გადაწყვეტილებების მიღებისა და სამომავლო პერსპექტივების შეფასებისას. **სკოლას მიეცა რჩევა,** კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის შექმნის პროცეში გაითვალისწინონ როგორ, რა ფორმით/საშუალებებით მოხდება სასკოლო საზოგადოების (მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი, სკოლის ადმინისტრაცია, დირექცია) ინტერესების შესწავლა და კურიკულუმში ასახვა, როგორ განხორციელდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 4 გამცემია

დანერგვის პროცესის მონიტორინგი, შეფასება, რეკომენდაციების შემუშავება კურიკულუმის დასახვეწად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. კათედრის წევრებთან გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ სკოლა გამოხატავს მზაობას, რომ ყურადღებას გაამახვილებს შეფასების პროცესში სხვადასხვა ფაქტორზე. **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ გამოიყენოს მონაცემების შეგროვების სხვადასხვა მეთოდი, როგორიცაა: კოლეგების გამოცდილების გაზიარება, მიმდინარე სასწავლო პროცესზე დაკვირვება, წინარე გამოცდილების გათვალისწინება, შედეგების ანალიზი, დიაგნოსტიკური შეფასებები, მშობლებთან და მოსწავლეებთან ვერბალური ინტერაქცია, განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტით მიღებული ინფორმაცია, მასწავლებლების მიერ ერთობლივად დაგეგმილი გაკვეთილების შეფასება და მასწავლებელთა ჯგუფის შეხვედრაზე ჩატარებული გაკვეთილების ანალიზი. პედაგოგები ინტერვიუთი აზუსტებენ, რომ კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას, იღებენ ერთობლივ გადაწყვეტილებას და მიღებული გადაწყვეტილებები აისახება კურიკულუმის განახლებულ ვერსიაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- კათედრების სხდომის ოქმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: [illegible]

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: [illegible]

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. <u>სკოლას არა აქვს შემუშავებული „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“.</u> მასწავლებლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ არსებობს პრაქტიკა, კურიკულუმის დაგეგმვის, (როგორც საგნობრივის, ასევე სასკოლო) მშობლებთან თანამშრომლობის, კათედრაზე მასწავლებების თანამშრომლობის გამოცდილება. სკოლა გეგმავს, სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და შეხედულებების შესწავლას. მათი შესაძლებლობების გათვალისწინებას კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში. **სკოლას მიეცა რეკომენდაცია,** რომ შექმნას ,,სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, რომელშიც აღწერილი იქნება შემუშავების პროცესში მონაწილე მასწავლებლების, საგნობრივი კათედრის თავჯდომარეთა და სკოლის დირექციის წევრთა ფუნქციები და ვალდებულებები.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც დაგეგმა და განახორციელა შესაბამისი აქტივობები; (27.10.2023 - 17.11.2023)

- დირექტორის ბრძანება N 83/1 - კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ.
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორის შეფასება შეიცვალა და იგი შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება.“

2. პედაგოგები ინტერვიუს დროს განმარტავენ, რომ კურიკულუმში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესი. დასტურად წარმოდგენილია კოლეგებთან სამუშაო შეხვედრის ორგანიზების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ასევე წარმოდგენილია დოკუმენტაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: [illegible]

,, კრიტიკული მეგობარი“ - შესაბამისად პედაგოგთა ურთიერთ შეფასება, რეფლექსია, კათედრის სხდომის ოქმები, კურიკულუმში არ არის მრავალფეროვანი კომპლექსური დავალებები. მასწვალებლებმა აღნიშნეს რომ ისინი აქტიურად ითვალისწინებენ მოსწვალეებისა და მშობლების ინტერესებს, აძლევენ მოსწავლეებს არჩევანის საშუალებას სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვისას, ასევე აქვთ მუდმივი კომუნიკაცია მშობლებთან სხვადასხვა საკომუნიკაციო არხების გამოყენებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. მასწავლებლებთან გასაუბრებისა და სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, დასტურდება, რომ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა შემუშავებული და დამტკიცებულია პედაგოგოურ საბჭოზე მასწავლებლების ჩართულობით. საგნობრივი კურიკულუმები განხილული და დამტკიცებულია კათედრის სხდომებზე, მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ აქტიურია მშობელთა ჩართულობა კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებებით , მათთან ხშირი კუმუნიკაცია, საშუალებას იძლევა გაითვალისწინონ მოსაზრებები და შეძლებისდაგვარად უზრუნველყონ მშობელთა ჩართულობა. **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ <u>სკოლამ შეიმუშავოს და განსაზღვროს პროცედურები და ინსტრუმენტები, რომელთა მეშვეობითაც მოხდება სასკოლო საზოგადოების ინტერესების კვლევა,</u> მათი ჩართულობის უზრუნველყოფა სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. პედაგოგების განმარტებით, კურიკულუმის დაგეგმვაში სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობა ხელს უწყობს მისი შინაარსის გაზიარებას დაინტერესებულ მხარეებში. პედაგოგები ინტერვიუს დროს განმარტავენ, რომ სკოლა კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად იყენებს შემდეგ საკომუნიკაციო არხებს: ელექტრონულ ფოსტას, დოკუმენტირების ელექტრონული ბრუნვის სისტემას, ბეჭდვით მასალებს, საჯარო ღონისძიებებს. გარდა ამისა, სკოლის მიერ წარმოდგენილი იქნა ე.წ. მშობლის ბარათი, რომლის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლაში არსებობს მოსწავლეების მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ინფორმიების პრაქტიკა კურიკულუმით განსაზღვრულ მნიშვნელოვან საგანმანათლებლო თემებთან და აქტივობებთან დაკავშირებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ლენტეხის მუნიციპალტეტის სოფელ ხელედის საჯარო სკოლის საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოები 2023-2024 წლის.
- სსიპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელედის სასკოლო სასწავლო გეგმა
- .კათედრების სამუშაო გეგმები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 4 გიორგაია

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მასწავლებლები გასაუბრებისას მიუთითებენ, რომ საბაზო საფეხურზე თითოეული მათგანი ითვალისწინებს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის მისაღწევ შედეგებსა და გრძელვადიან მიზნებს. ავტორიზაციის განაცხადის წარდგენის ეტაპზე სკოლას სახელმწიფო ენაში კურიკულუმის ჩარჩოებში შევსებული ჰქონდა მხოლოდ თემის, კონტექტ მაგალითებისა და რესურსების გრაფა. ვიზიტისას კი შედარებით დახვეწილი დოკუმენტაცია იქნა წარმოდგენილი. საბაზო საფეხურის VII,VIII,IX კლასების კურიკულუმის ფორმაში გაწერილია 1-2 კომპლექსური დავალება სავალდებულო სამიზნე ცნებების და სავალდებულო თემების შესაბამისად. ძირითადად თემები მიჰყვება სახელმძღვანელოს პარაგრაფებს, მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღწერეს მუშაობის ეტაპები, მათ არ აქვთ გამოცდილება კომპლქსური დავალებებით სწავლების. აქვთ მზაობა, რომ სამომავლოდ იმუშაონ შუალედური მიზნებით.

სპორტის ექსპერტის მხრიდან გაიცა რჩევა, რომ <u>მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმებში გაიწეროს კომპლექსური დავალებები, რომელიც გათვლილი იქნება თითოეული მოსწავლის უნარებსა და შესაძლებლობებზე. თემასთან - „პირველადი სამედიცინო დახმარება“ - მიმართებით მასწავლებელმა მოიძიოს და კურიკულუმში გაწეროს შესაბამისი რესურსი ქართულ ენაზეც.</u>

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. საბაზო საფეხურზე კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ყველა თემის ფარგლებში მუშავდება სამიზნე ცნებები: ჟანრი , სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალებები, კულტურათა დიალოგი. როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს პედაგოგებმა კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ იკვეთება მოსწავლეების მუშაობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: [illegible]

გლობალურ-ფუნქციური უნარების ჩამოსაყალიბებლად. მათი შესრულება მოსწავლეებისგან მოითხოვს კრიტიკულ აზროვნებას, თანამშრომლობას, კომუნიკაციას, მოქალაქეობრივ პოზიციას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. პედაგოგებთან შეხვედრიდან იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი ხელს უწყობს ინკლუზიური გარემოს ჩამოყალიბებას და დიფერენცირებულ მიდგომას ყველა მოსწავლესთან. ეს ასევე იკვეთება წარმოდგენილ დოკუმენტებში. გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი. თითოეული მოსწავლე განსხვავებულია თავისი უნარ-ჩვევებით, გამოცდილებით, მიმდინარე ცოდნით, საჭიროებებით, სწავლის სტილით, მოტივაციითა და პირადი ინტერესებით. კურიკულუმი იგეგმება თემების მიხედვით, რომლებიც წარმოადგენენ სამიზნე ცნებების/ სწავლის შედეგების გააზრების კონტექსტს, ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მის გამოციდლებას და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან და ხელს უწყობს ფუნქციური უნარების განვითარებას; სკოლას აქვს ნორმალური სასწავლო გარემო: ღია სივრცე, ბიბლიოთეკა. აღნიშნეს რომ ატარებენ გაკვეთილებს არაფორმალურ გარემოში, სკოლაში არის მოსწავლეების ხელით დამზადებული რესურსები და თვალსაჩინოებები. სკოლას აქვს კარგად აღჭურვილი საბუნებიმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, სადაც დამონტაჟებულია სველი წერტილები და გამწოვი ცალკე არის გამოყოფილი ოთახი რესურსებისათვის სადაც ჩაკეტილ კარადებში ინახება ისეთი მასლები რომლებმაც დამაზიანებელი გავლენა შეიძლება იქონიოს ადამიანზე გაუფრთხილებლობის შემთხვევაში. როგორც დირექციის წარმომადგენლებთან საუბრისას გაირკვა სკოლას ახალი გავლილი აქვს რეაბილიტაციის პროცესი იგი გარემონტდა მილენიუმის პროექტით. აღნიშნეს, რომ გაუმჯობესებული გარემო და რესურსები მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. ასევე აქვთ ელექტრონული რესურსების გამოყენების პრაქტიკაც, აქვთ კომპიუტერები, პროექტორი , რაც მოსწავლეებში ინტერესს და ჩართულობას იწვევს. პროდუქტის წარმოდგენისას მოსწავლეებს აქვთ საშუალება მისთვის მოსახერხებელი ფორმით წარმოადგინონ . არ ჰყავთ სსმ მოსწავლეები თუმცა აქვთ მზაობა ამ კუთხით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად გამოვლინდა, რომ მასწავლებლები იყენებენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებს უცხოური ენების კათედრას განსაზღვრული აქვს მოსწავლეთა შეფასების პოლიტიკა, შეფასება მორგებულია მოსწავლეთა საჭროებებსა და ინტერესებზე, აქედან გამოდმინარე დრო და დრო უწევთ კიდეც წინასწარ დადგენილი შფასების რუბრიკების მოდიფიცირება. წარმოდგენილია რამდენიმე განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა , პედაგოგების მიერ შემუშაებული შეფასება არის სანდო და გამჭირვალე. მასწვალებლები სათანადოდ იყენებენ ვერბალურ განმავითარებელ უკუკავშირსაც. წარმოდგენილია რუსული ენის გაკვეთილის გეგმა , რომელსაც ახლავს შეფასების რუბრიკა, ასევე კომპლექსურ დავალებას პოსტერი ეკოლოგიაზე თან ერთვის შეფასების რუბრიკა. **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ ყველა საგნობრივმა კათედრამ შექმნას მრვალფეროვანი შეფასების რუბრიკები სხვადასხვა აქტივობებთან მიმართებაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 4 გ.ბ.

სპორტის ექსპერტის მხრიდან გაიცა რჩევა, რომ <u>მიმდინარე სასწავლო წლისათვის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელმა კურიკულუმებში წარმოდგენილ ყველა თემასთან მიმართებით შეიმუშაოს შეფასების რუბრიკები.</u>
შესაძლებელია ინდიკატორი დაკმაყოფილებულად ჩაითვალოს.

5. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით წარმოჩინდა დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი, გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სამომავლოდ დაგეგმვის პროცესში უფრო მეტად გათვალისწინებენ წინარე გამოცდილების ანალიზს და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, შეფასებისა და ანალიზის შედეგად მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირის, რეფლექსიის შედეგების და წინარე გამოცდილების გათვალისწინებით გადაამუშავებენ კურიკულუმებს. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ყოველი ახალი გაკვეთილის დაგეგმვისას ითვალისწინებენ მიღწეულ შედეგებს და მოსწავლეთა საშიროებებს, ასევე მშობელთა ინიციატივებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმი;
- კომპლექსური დავალების ბარათი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- შეფასების რუბრიკები;
- შემაჯამებელი დავალების ანალიზი;
- კათედრის სხდომის ოქმი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: [illegible]

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება
2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებითა (საგნობრივი კურიულუმები, კომპლექსური ბუნების დავალების პირობები, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები) და პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ ხელი ეწყობა მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სხვადასხვა შემოქმედებით პროცესებში, რითაც შესაძლებელი იქნება მოსწავლის შინაგან მოტივაციის ზრდა და მათი შესაძლებლობების განვითარება. სკოლის კედლებზე მოსწავლეთა ნამუშევრები, განხორციელებული პროექტების ამსახველი კედლის პოსტერებია განთავსებული. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ავტორიზაციის მაძიებლობის განაცხადის შევსებიდან ვიზიტამდე კურიკულუმის ჩარჩო გაამდიდრეს, გამოკვეთეს თემებში კომპლექსური დავალების იდეები, საბაზო საფეხურზე მოცემულია კომპლექსური დავალების სრული პირობა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუშით.მასწავლებლები ასახელებენ კონკრეტულ შემოქმედებით პროდუქტებს, რომლებზეც იმუშავეს საბაზო საფეხურზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალიდან ჩანს, რომ კურიკულუმი იგეგმება სავალდებულო თემატური ბლოკის ფარგლებში, თემების გათვალისწინებით, რომლებიც წარმოადგენენ სამიზნე ცნებების/ სწავლის შედეგების გააზრების კონტექსტს. თემა ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მის გამოცდილებას და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან. დამატებით წარმოდგენილ მასალაში დაფარულია ყველა სამიზნე ცნება. მასწავლებლები მუშაობენ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ✓ ფარცხია

აღნიშნავენ, რომ მასწავლებლის წიგნიც ეხმარებათ სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტული პრინციპების დანერგვაში. ყოველ გაკვეთილს იწყებენ წინარე წოდნის გააქტიურებით, მაგ ,,გონებრივი იერიში" და სხვ. გასაუბრებისას, მასწავლებლები გამოთქვამენ მზაობას თემატური დაგეგმვისა და კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობის კუთხით, საუბრობენ კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპებზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს მიხედვით დგინდება, რომ სასწავლო პროცესი ისეა დაგეგმილი, რომ აქცენტი გაკეთდეს არა მხოლოდ საგნობრივ ცოდნაზე, არამედ მეტაკოგნიტური პროცესების ხელშეწყობაზე, სწავლის სწავლაზე, გამოცდილების გამოყენებაზე, რასაც ადასტურებს საბაზო საფეხურის კათედრის მიერ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების ნიმუშები, პროექტის გეგმებში არსებული მიზნის მიღწევის ამოცანების შინაარსები, რაც მოსწავლეებს ეხმარება თავად ააგონ ცოდნა და იპოვონ კავშირი ყოველდღიურ ცხოვრებასთან. სკოლის საბაზო საფეხურზე შემუშავებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით შესაძლებელი იქნება ხელი შეეწყოს მოსწავლეებში სწავლის სწავლის პროცესს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება კათედრების მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში, პროექტებში, ადგილზე არსებულ მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებსა თუ არაფორმალურ აქტივობებში. ეს მეტყველებს სასწავლო პროცესში როგორც პირობისეულ, ასევე დეკლარატიულ და პროცედურულ ცოდნაზე მუშაობას. სასწავლო პროცესში მოსწავლე ეცნობა ინფორმაციებს არა მხოლოდ სახელმძღვანელოდან, არამედ სხვადასხვა ელექტრონული პლატფორმიდან. აწარმოებს დაკვირვებას და ატარებს ცდებს სკოლაში არსებული რესურსებით, სკოლას აქვს კარგად აღჭურვილი საბუნებიმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, სადაც დამონტაჟებულია სველი წერტილები და გამწოვი ცალკე არის გამოყოფილი ოთახი რესურსებისათვის სადაც ჩაკეტილ კარადებში ინახება ისეთი მასლები რომლებმაც დამაზიანებელი გავლენა შეიძლება იქონიოს ადამიანზე გაუფრთხილებლობის შემთხვევაში. როგორც დირექციის წარმომადგენლებთან საუბრისას გაირკვა სკოლას ახალი გავლილი აქვს რეაბილიტაციის პროცესი იგი გარემონტდა მილენიუმის პროექტით. აღნიშნეს, რომ გაუმჯობესებული გარემო და რესურსები მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებას უწყობს ხელს. ასევე აქვთ ელექტრონული რესურსების გამოყენების პრაქტიკაც, აქვთ კომპიუტერები, პროექტორი , რაც მოსწავლეებში ინტერესს და ჩართულობას იწვევს პროდუქტის წარმოდგენისას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში. გამოკვეთილია თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები. გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ წარდგენილი დავალება მოსწავლისთვის უცხო არ არის. ის ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე და არა ახალი მასალის დასწავლაზე. კომპლექსური ბუნების დავალებები იძლევა საშუალებას,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 4 გ.ბ.

რომ სხვა და სხვა მოსწავლეს შეიძლება სხვა მოსაზრება და არგუმენტიც კი ჰქონდეთ. ეს კი წინაპირობაა ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნისა. წარმოდგენისას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- კომპლექსური ბუნების დავალებები;
- შეფასების რუბრიკები;

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საგნობრივ კურიკულუმებში, ყველა თემატური ბლოკისთვის მითითებულია სამიზნე ცნება და ქვეცნება. საკითხების შესწავლის პარალელურად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ✓ დასტურია

საშუალო საფეხურზე კათედრის მიერ შემუშავებული კომპლექსური ბუნების დავალებები და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში სამიზნე ცნებების და შესაბამისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით და მოსწავლეზე ორიენტირებული, კონსტრუქტივისტული მიდგომების გათვალისწინებით. შუალედური სასწავლო მიზნები ამუშავებს სამიზნე ცნენების ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, შეფასების რუბრიკებში გამოკვეთილია. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები(კურიკულუმის ჩარჩო, კომპლექსური დავალება, პროექტები) საშუალებას იძლევა დავადასტუროთ, რომ კათედრებზე ხდება მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესების, შესაძლებლობების გათვალისწინებით დაგეგმვა და სასწავლო პროცესის წარმართვა. მასწავლებლებთან გასაუბრებიდანაც ნათლად ჩანს, რომ ეს ყველაფერი ემსახურება მოსწავლის პიროვ ლ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. ექსპერტების მიერ **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ <u>სასურველია საბაზო საფეხურზე გამოიკვეთოს საგნობრივი კონტექსტები მეტი სიხშირით,რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლის სოციო-ემოციურ განვითარებას.</u> **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად ვლინდება, რომ შეფასება ხელს უწყობს მოსწავლეების აქტიურ ჩართულობას შეფასების პროცესში, კერძოდ მოსწავლეების მიერ კრიტერიუმების განხილვა, საკუთარი თავის და თანატოლების შეფასება ზეპირსიტყვიერი ან წერილობითი უკუკავშირი. გარდა ამისა, შეფასება ატარებს ავთენტურ ხასიათს, შეფასების ამოცანები შეესაბამება მოსწავლეების საჭიროებებს, ეხმარება მათ განავითარონ ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები, რომლებიც მათ ცხოვრების მანძილზე დასჭირდებათ. **სკოლას მიეცა რჩევა,** <u>რომ სასურველია საბაზო საფეხურზე შეიქმნას მრავალფეროვანი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ყველა საგნობრივი მიმართულებით.</u> **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისად, სკოლაში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი; მოსწავლეს აფასებენ სხვადასხვა ფორმებით: ესსე, პროექტის მომზადება, ზეპირი გამოსვლა, ექსპერიმენტის ჩატარება, ცდის ჩატარება, წარმოდგენა, წერითი, ფერწერული ან სხვა ტიპის ნამუშევარი, არგუმენტირებული მსჯელობა და სხვ.. მოსწავლემ წინასწარ იცის, თვითონაც მონაწილეებენ რუბრიკების შექმნაში, რა კრიტერიუმებით ფასდება მისი სასწავლო აქტივობა, მოსწავლის წინსვლის საშუალებას ძირითადად ხდება განმავითარებელი შეფასებით. შეფასების რუბრიკები ცნობილია მშობლებისთვისაც.მასწავლებლები კათედრაზე ერთად ქმნიან შეფასების რუბრიკებებს სხვადასხვა ნამუშევრისათვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: [illegible]

5. გასაუბრებისას მასწავლებლები ნაწილბრივ საუბრობენ შეფასების სისტემის ვერიფიკაციის ფორმებზე, მონიტორინგზე დირექციის მხრიდან, მაგრამ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან იკვეთება, რომ სკოლაში არ ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი; სკოლას არა აქვს შემუშავებული შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმები. ავტორიზაციის **ექსპერტთა ჯგუფმა სკოლას მისცა რეკომენდაცია,** რომ შექმნას „შეფასების ვერიფიკაციის ინსტრუმენტი".

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც დაგეგმა შესაბამისი აქტივობები; (30.10.2023 - 19.11.2023)

- დირექტორის ბრძანება N 83/2 - შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმების დამტკიცების შესახებ.
- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმები

აღნიშნულის გათვალისწინებით პირველადი შეფასება შეიცვალა და იგი შეფასდა, როგორც „შეესაბამება."

6. პედაგოგებთან ინტერვიუს დასტურად სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა/კურიულუმი (23-24 წწ);
- საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- კომპლექსური დავალების ბარათი;
- მასწავლებლებთან ინტერვიუ

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: [illegible]

1. სკოლაში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობით გარემო, რისი დასტურიცაა კათედრის წევრებს შორის თანმშრომლობა და ასევე კომუნიკაცია, ხდება სხვადასხვა აქტივობებისა და პროექტების დროს მოსწავლეთა ურთიერთ მხარდაჭერა და ჩართულობა, სკოლის საზოგადოება ცდილობს შექმნას პოზიტიური გარემო. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სასწავლო პროცესი იმართება მოსწავლეზე ორენტირებულად, მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა საჭიროებებს, პედაგოგები აქტიურად თანამშრომლობენ მშობლებთან. როგორც ინტერვიუს დროს გააჟღერეს, აქვთ კომპლექსური დავალების დროს გამოსაყენებელი მშობლის ბარათი. თუმცა აღნიშნული ბარათები ვერ წარმოადგინეს. პედაგოგები იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს, აქტივობებისა და დავალებების შეთავაზებისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებსა და შესაძლებლობებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას; თვითმმართველობასთან. კათედრის წევრები ხშირად, ერთობლივად გეგმავგენ გაკვეთილებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირს, რომელიც ძირითადად შემოიფარგლება რჩევებითა და რეკომენდაციებით.სკოლას ჰყავს ლიდერი მასწავლებლები,რომლებიც გადიან ქოუჩინგის პროგრამას USID-ის დაწყებითი საფეხურის განვითარების პროგრამის ფარგლებში და მიღებულ ცოდნას და გამოცდილებას უზიარებენ კოლეგებს საგნობრივი ჯგუფის შეხვედრებზე.როგორც კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგად ირკვევა, სასკოლო სასწავლო კურიკულუმი, სასწავლო გეგმა და მასზე დაფუძნებული აქტივობები წარმოადგენს თანამშრომლობის შედეგს. ასევე, ვლინდება, რომ ეფექტური კომუნიკაციაა დამყარებული მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

